



187619 679 187619 679 187619 187619 187619 187619 187619 187619

ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲢᲔᲠᲐᲛᲝᲡᲗᲐᲜ

ვაჟა სიმონიშვილი

საძართველოს ნაკრების ფორვარდმა ნიკა ცქიტიშვილმა გუშინ იტალიის სერია A-ს "ტერამოსთან" ორწლიანი
კონტრაქტი გააფორმა. ნიკას სხვა შეკაზებებიც ჰქონდა, მაგრამ კარიერის იტალიაში გაგრძელება გადაწყვიტა. "ტერამოს" გარდა, ნიკას "დენვერიც" ეპატიჟებოდა, ოლონდ გარანტირებულ კონტრაქტს ვერ სთავაზობდა,
ესპანურმა "კახა სან ფერნანდომაც"
კარაერთხელ საჯაროდ დააფიქსირა
კართველთან ხელშეკრულების გაგრძელების სურვილი, მაგრამ ცქიტომ
იტალიაში დაბრუნება გადაწყვიტა. იგი
კლუბის ხელმძღვანელობს ორი დღის
წინათ ესაუბრა და როცა დარწმუნდა,
რომ სათამაშო დრო საკმარისად მიეცემოდა, კონტრაქტიც გააფორმა.

ოომ სათათამო დოო საკმარისად მიეცემოდა, კონტრაქტიც გააფორმა. ცქიტიშვილის როლზე მომავალ კლუბში "ტერამოს" პრეზიდენტმა ანტონეტომაც ისაუბრა: "სიტყვებით მიჭირს კმაყოფილების გადმოცემა ნიკოლოზ ცქიტიშვილის გუნდში ჩარიცხვის გამო. იგი ნიჭიერი ახალგაზრდაა და დიდი პოტენციალი აქვს - შეუძლია როგორც ფორვარდად, ასევე ცენტრად თამაში. მჯერა, რომ მისი გარჯა "ტერამოს" გულშემატკივრს გულგრილს არ დატოვებს. ცქიტიშვილთან ერთად მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ვაპირებთ. ჩვენი მხრიდან კი ავიღეთ პასუხისმგებლობა, რომ მას ყველანაირად გვერდში დავუდგებით და მიზნის მიღწევაში დავეხმარებით. სკიტას მიზანია NBA-ში ძლიერ კალათბურთელად დაბრუნება. ამისთვის პირველი ნაბიჯი საკმარისი სათამაშო დრო უნდა გახდეს, რის ნაკლებობაც "ტერამოში" არ ექნება".

ზემოთ "დაბრუნება" ვახსენეთ. ვისაც არ ახსოვს, ვეტყვით, რომ ცქიტო იტალიაში 2001 წელს სლოვენიური "სლოვანიდან" გადავიდა, "ბენეტონში" ერთი სეზონი ჩაატარა და 2002 წლის NBA-ს დრაფტზე "დენვერმა" მე-5 ნომრად აირჩია.


"დენვერ ნაგეტსში" მოხვედრიდან მესამე წელს ცქიტიშვილი "გოლდენ სტეიტში" გადავიდა. 2005 წელს "მინესოტაში" აღმოჩნდა, საიდანაც 2006 წლის ზამთარში "ფინიქსს" მიაშურა. ნიკა არც "მზეების" რიგებში დარჩენილა დიდი ხნით - 2006-07 წლების სეზონი "ნიუიორკთან" ერთად დაიწყო, ხოლო თებერვალში ევროპაში დაბრუნდა და ესპანურ "კახა სან ფერნანდოში" ჩაირიცხა.


ასე და ამგვარად, "კოლხადან" წასვლის შემდეგ "ტერამო" ნიკა ცქიტიშვილისთვის მერვე კლუბია.

ლისთვის მერვე კლუბია.
ახლა ორიოდე სიტყვა ცქიტოს ახალ კლუბზე ვთქვათ. 1997 წლის შემდეგ "ტერამოს" სახელი ექვსჯერ შეუცვალეს ("ბარნაბეი", "ტერამუ", "ვამპუმი", "სანიჩი", "ბასკეტ-ტერამო", "ნავიგო"). ამჟამდა მისი სრული დასახელებაა "სივილია ვეარ ტერამო".

იგი სერია A-ში 2004 წელს აღზევდა და საუკეთესო შედეგი 2004-05 წლების სეზონში აჩვენა - მეათე ადგილზე გავიდა. გასულ სეზონში ერთ-ერთი აუტსაიდერთაგანი იყო და რეგულარული პირ-ველობა მე-15 პოზიციაზე დაასრულა.

ბოლოს მთავარზე - როდის შეუერთდება ცქიტიშვილი ნაკრებს? ამ კითხვაზე პასუხი არც თავად ნიკას აქვს, რადგან საფრანგეთის ვიზა არა აქვს და იტალიიდან ჯერ საქართველოში უნდა ჩამოვიდეს. მოასწრებს თუ არა ლუქსემბურგთან (21 აგვისტოს) მატჩამდე პოში (ამ ფრანგულ ქალაქშია შეკრებილი საქართველოს ნაკრები) ჩასვლას, ეს საკითხიც ლიადაა. 25 აგვისტოს, ავსტრიასთან შეხვედრისთვის კი ეროვნულ გუნდთან ერთად უნდა იყოს.











SELIBORE OF GROUPS UMCRESS

ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ: ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ, ᲠᲐᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝ NBA-ᲨᲘ



306 ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲞᲘᲡᲙᲝᲕᲔᲪᲘ?





გახსენე... 5%3330



ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

ngnasni. 7.16.1060CM 363K0635 Laanaenan 3636**93**33

Რ**ᲣᲡᲗᲐ**ᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲚᲐᲕᲔᲑᲡ **%ᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲢᲔᲑᲔᲜ**

საძართველოს ჩემპიონის ახალი მთავარი მწვრთნელი უკრაინელია. ვარლამ კილასონია ანატოლი პისკოვეცმა შეცვალა. 59 წლის სპეციალისტს უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" გამოცდილ და სახელოვან მწვრთნელად მოიხსენიებს

კრივოი როგის "კრივბასი", არაბთა გაერთიანებული საემიროები, ალჩევს-კის "სტალი", ბაქოს "ინტერი" და უკრაინის ქალთა ნაკრები - ეს არასრული სიაა პისკოვეცის სამუშაო ადგილებისა მისა 27 წლიან სამწვრთნელო კარიერაში. პოლოს ახტირკის "ნეფტიანიკის" დუბლები ჩააბარეს, სადაც დიდი წარმატებით დაინყო მუშაობა და ყველასათვის მოულოდნელად, საქართველოში აღმოჩნდა.

- დღეს "ნეფტიანიკის" ფეხბურთელები დამიკავშირდნენ და თურმე, ვარჯიში ჩაუშლიათ. ეგონათ, რომ მომხსნეს და ასე გამოხატეს პროტესტი, გვითხრა პისკოვეცმა.

გამოხატავდნენ კიდეც, რადგან მისი ხელმძღვანელობით უმაღლესი ლიგის დებიუტანტის რეზერვისტებმა საწყის ოთხ ტურში სამი მატჩი მოიგეს და სამივე უკრაინულ გრანდებთან.

პისკოვეცი ამას სიამოვნებით იხსენებს, რადგან პირველი კითხვა რაც იბადება, ესაა - უკრაინა აწყობილი, დალაგებული ფეხბურთია, ფინანსებიც საკმაოდ მოიძიება, თუნდაც დუბლებში. აბა, წარმოიდგინეთ, დუბლებში პრემია 400-500 დოლარია არც ისე მდიდარ "ნეფტიანიკში" და საქართველოში ასეთ დროს ძნელია ვინმეს ჩამოყვანა.

ერთი შეხედვით დაუჯერებელ მიზეზს პისკოვეცის პასუხი დამაჯერებელს ხდის:

- ასე მარტივად არაა საქმე. მე გუნდში სერგეი შევჩენკომ მიმიწვია, რომელიც ჩემი დიდი ხნის მეგობარია. დიდი სამუშაო მქონდა ჩასატარებელი, უნდა მომენვია ფეხბურთელები, გამესინჯა და ჩემი გემოვნებით შემერჩია. ამ დროს არაკორექტულად მომექცა ის ხალხი, ვინც "ნეფტიანიკში" მიმიწვია. ჯერ სასურველი მოთამაშეების აყვანის საშუ ალება არ მომცეს და მეორე: დუბლებმა ჩემპიონატი წარმატებით დავიწყეთ. გასვლაზე მოვუგეთ დონეცკის" შახტიორს", მერე ხარკოვის "მეტალისტს", ისევ გასვლაზე "არსენალს", შინ ფრედ ვითამაშეთ "ჩერნომორეცთან" და აქე-

ამ დროს მთავარმა გუნდმა ერთი ქულაც ვერ აიღო და შევჩენკოს, ანუ ჩემი მეგობრის ადგილის დაკავება შემომთავაზეს. დიდი ხანი ცდილობდნენ ჩემს დათანხმებას, მაგრამ ასეთი რამ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, ისე გამოვიდოდა, თითქოს, მე მის ადგილს ვუმიზნებდი. პოსტს მეგობრობაზე წინ ვერ დავაყენებდი.

ამ დროს გაისმა ზარი საქართველოდან... სხვათა შორის, თქვენ ტყუილად ფიქრობთ, რომ საქართველოს აგდებით უყურებენ. ეს უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაა და დღევანდელი ჩავარდნა არ ნიშნავს, რომ აქ მუშაობა საინტერესო არაა.

გულგახსნილი, შუბლგახსნილი ხელმძღვანელები დამხვდნენ, ვითარება ძალიან მომეწონა და საერთოდაც, ქართველებთან ურთიერთობა უკრაი-ნაშიც მქონდა. "ნეფტიანიკში" თამაშობს გიგიაძე, მშვენიერი ბიჭია, მანამდეც და ახლაც ქართველი მეგობრები მყავს. ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი პოლიტიკური ვითარებაც იყო - საქართველოსა და უკრაინას შორის მეგობრული კავშირებია და ესეც გავითვალისწინე. ამ დროს ჩემმა მეგობარმა, რუსთავის "ოლიმპის" სპონსორმა დამირეკა და წამოვედი. თუმცა თავიდან არც ვიცოდი, რომ მწვრთნელობას მთა-

კიდევ იყო სხვა ფაქტორებიც. 59 წლის ვარ და მაინტერესებდა სხვა ჩემპიონატში ძალების მოსინჯვა. სპონსორმა შემომთავაზა გუნდის ერთად შენება, ინფრასტრუქტურის მიხედვა და ბევრი რამ. საინტერესოა არა? მით უფრო, როდესაც საქართველოს ჩემპიონის მწვრთნელი ხდები. აზერბაიჯანსა და საემიროებში მიმუშავია და საქართველო რატომ არ უნდა იყოს საინტერესო?

თუმცა ხვალ ისევ ახტირკაში დავბრუნდები, ყველას დავემშვიდობები, როგორც ეს ნორმალურ ადამიანს შეშვენის და ავუხსნი, რაც მოხდა, რატომ წავედი და შევუდგები "ოლიმპის" მწვრთნელობას.

"ოლიმპის" მწვრთნელობა როდის შემოგთავაზეს, ლიგის საკვალი-ფიკაციო ეტაპიდან გუნდის გამოვარდნის შემდეგ?

- ოთხი დლის წინათ იყო ზარი და მეგონა მეგობარი, ანუ "ოლიმპის" სპონსორი მეგობრული ვიზიტით მიწვევდა.



ანატოლი პისკოვეცი

- თქვენ ნახეთ "ოლიმპი" "დინამოსთან" და მის პლუს-მინუსებზე წარმოდგენა შეგექმნებოდათ.

- მე 80-იანი წლებიდან ვარ მწვრთნელი და მიმაჩნია, რომ ერთი შეხვედრით შეუძლებელია გუნდზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა.

- ამას არც გეკითხებით. ჩვენ პირველი შთაბეჭდილება გვაინტერესებს...

- გარკვეული პერიოდის შემდეგ გეტყვით, ვინ რას წარმოადგენს და ვისგან რისი იმედი მექნება, თუმცა ბიჭებსაც ვუთხარი, რომ არავის გასაყრელად არ მოვსულვარ. კი, რაღაცები არ მომეწონა, მაგრამ საჯაროდ ამის თქმა არაეთიკურია. ბოლოს და ბოლოს აქ მწვრთნელი მთელი სულითა და გულით მუშაობდა და მას პატივი უნდა ვცეთ. ამიტომ, აჯობებს, რომ კორექტული ვიყო.

ძალიან მიხარია, რომ ყოფილი მთავარი მწვრთნელი კილასონია დარჩა და დამეხმარება. გუნდში რევოლუციების მოწყობის აუცილებლობა არაა. მთავარია, კოლექტივი შევინარჩუნოთ და ყველა პრობლემას ერთად გავუმკლავ-

- ისე ფაქტია, რომ საქართველოს ჩემპიონატის ლიდერების მატჩისთვის საკმაოდ დაბალი ტემპი იყო.

- დიახ, ამაში გეთანხმებით. უკრაინაში სულ სხვა სისწრაფეები და საშემსრულებლო ოსტატობაა. იცით, მთავარი რაც ვერ დავინახე და გამიკვირდა, პირველ ტურში ფეხბურთელებს ცეცხლი არ ეტყობოდათ.

- უკრაინიდან მოთამაშეების ჩამოყვანას აპირებთ?

- დიახ, მაგრამ ეს ზამთრისთვის უნდა გადავდოთ. ახალგაზრდებიც მეგულება და ვეტერანებიც, რომელთაც გუნდის გაძლიერება შეუძლიათ. სხვათა შორის, უკრაინიდან უკვე დამიკავშირდნენ. ხომ გაგიგიათ, მწვრთნელის ტელეფონი ყველამ იცის, ვისაც ის სჭირდება და აყვანა თავად შემომთავა-

- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?

- სამწლიანი და მიხარია, რომ საქართველოს ჩემპიონი ჩამაბარეს.

ᲛეᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ



aaaan4a56am 134MJJJ33NK3N あり タクセクドンタの മാമാട്ടനസ

ქუთაისის "გორპედო" უსახსრობის გამო უმაღლესი ლიგიდან პირველში ჩააქვეითეს, თბილისის "დინამოს" შემდეგ ყველაზე ტიტულოვან ქართულ გუნდს ფულიც შემოაკლდა და მზრუნველიც. და რაღა არ ითქვა - რატომ არ მიხედა კლუბს ქუთაისის მერიამ, საკუთარი ქალაქის თუ "ტორპედოს" პატრიოტმა ბიზნესმენმა, ან თუნდაც **მალხაზ** ასათიანმა, ვინც ქუთაისელია და სწო-რედ "ტორპედოდან" გაიკვლია გზა მოს-კოვის "ლოკომოტივში".

0355676

"ტორპედოს" 2005 წელს გამოუჩნდა მუშტარი, თურქი ბიზნესმენი იბრაჰიმ ართვინლი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას არ გადასცა კლუბი, ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა ართვინლიმ, მე მხოლოდ ერთ-ერთი აქციონერი უნდა ვყოფილიყავი და ეს არ მაწყობდაო.

მოკლედ, უარი თურქ ბიზნესმენს, უარი მერიის ბიუჯეტიდან კლუბის დაპირველ ფინანსებას და "ტორპედოც" ლიგაში ჩაეშვა. ცხადია, ვერც ასათიანს დაავალდებულებს ვინმე, ძნელბედობის ჟამს მშობლიურ კლუბს დაეხმარეო.

ერთი კვირის წინათ "თბილისის" ყ ფილ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს ჩამოვართვით ინტერვიუ, ვინც ახლა ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს და გვითხრა, მიკვირს ქართველი ლეგიონერების, ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება არ უნდათ და მათი შემყურე ბიზნესმენებიც ამისგან თავს იკავებენ, რადგან თვითონ ფეხბურთელებს არ სურთ ეს, ესე იგი საქმე უპერსპექტივოაო.

მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. 2000 წელს ძმები არველაძეები თბილიის "დინამოს" შეძენით დაინტერესდნენ, მაშინ "დინამო" ფაქტობრივად უპატრონოდ იყო. მაშინდელმა ხელისუფლებამ "დინამო" სხვას მიჰყიდა, მაგრამ მხოლოდ ამან ალბათ არ ჩააქნევინა არველაძეებს და თუ სხვა ქართველ ფეხბურთელებს ხელი,

საფეხბურთო ბიზნესის აწყობა ძალიან რთულია საქართველოში, მაგრამ ჩვენს ლეგიონერებს კიდევ აქვთ მიზეზი, რის გამოც თავს იკავებენ ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადებისგან. დამოუკი-დებლობიდან დღემდე საქართველო ფეხბურთის ექსპორტიორი ქვეყანაა და კიდევ კარგა ხანი ასე იქნება. ექსპორტი კი ხარისხიანი უნდა იყოს, ხარისხიანი ექსპორტის შექმნას, კი ფულის გარდა, კადრები, ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზა სჭირდება.

..შარშან 35-ე სკოლიდან გიორგი ლიასამიძე მიიყვანეს ამსტერდამის "აიაქსის" სკოლაში. საქმე არველაძეე-ბის მიერ შექმნილმა "საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდმა" ითავა და როგორც მათგან შევიტყვეთ, დიასამიძემ აიაქსელებს თავი მოაწონა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო მისი ამსტერდამში დარჩენა ვერ მოხერხდა. იგივე ფონდი ასევე 35-ე სკოლის აღ-

ზრდილის გიორგი თარგამაძის "ფრაიბურგში" მოწყობას ეშურება, მაგრამ საქმე ჯანჯლდება. თარგამაძეს ჯერ ასაკი არ ყოფნიდა (მინიმუმ 18 წელი) კონტრაქტი გაეფორმებინა "ფრაიბურგ. თან", მერე კი მასაც სავიზო პრობლემა გამოუჩნდა - სასწავლო ვიზა უნდა აიღოს გერმანიაში სათამაშოდ.

სავიზო და იურიდიული პრობლემები მიეძალა 17 წლის ლოკომოტიველ **ლევან** ყენიასაც. ის ჯერ "ლევანტეში" აპირებდა გადასვლას, ახლა კი გელზენკირხენის "შალკეში" სურს მოწყობა. საქმეში **ლევან** კობიაშვილია ჩართული და ალბათ ყენ ას "შალკეში" ჩარიცხვა დადებითად გადაწყდება. ყენია "შალკეს 19-წლამდეთა გუნდში უნდა ჩაირიცხოს და ამ ასაკობრივ ბუნდესლიგაში ითამაშოს - ასეთია პროექტი და თუ გერმანიაში მოთამაშე ქართველებს ვერწმუნებით, 19-წლამდელთა ბუნდესლიგა საკმაოდ სერიოზული ტურნირია. საამისოდ ყენიას არ დასჭირდება სამოყვარულო კონტრაქტი, ანუ მას ახლავე შეუძლია "შალკეში" გადასვლა, სანამ 18 წლის გახდება. მაგრამ ყენიას სტუდენტური ვიზა სჭირდება, სხვანაირად გერმანიაში უბრალოდ, ვერ იცხოვრებს.

მოკლედ, ჭაბუკი ქართველებისთვის შესაძლებელია, ევროპულ კანონებში ნაპრალების გამოძებნა და იქ თამაში. ევროპაში ისინი უკეთ მოემზადებიან, უფრო მეტი შანსი ექნებათ წინსვლისთვის და შესაბამისად, უკეთესი საექსპორ-ტო რესურსი გახდებიან იმ ქართული კლუბებისთვის, საიდანაც ევროპაში უნ-


და გაიჭრნენ.

ჰოდა, ევროპაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერიც ასე უყურებს საკითხს შესაძლებელი რომ იყოს, დიდი დაბრკოლების გარეშე ქართველი თინეიჯერების ევროპაში გაშვება და მათი იქ დაოსტატება, იქნებ ლირდეს კიდეც ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება - ეს ჩემთვის რამდენიმე წარმატებულ ლეგიონერს უთქვამს პირად საუბარში.

თუ 16 და უფროსი ასაკის თინეიჯერებისთვის ასე თუ ისე შესაძლებელია ევროპაში გაჭრა, უმცროსებისთვის ეს თითქმის შეუძლებელია. არაევროკავში-რელ ბავშვს წინაპრები უნდა ჰყავდეს ევროკავშირელი, იქ ცხოვრების და შე-საბამისად საფეხბურთო სკოლაში დაოსტატების უფლება რომ ჰქონდეს. არის კიდევ ერთი გზა - ქართველი ბავშვი ევროპაში იქაურმა ოფიციალურად უნდა იშვილოს, რისი რეალურად გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელია

ევროკავშირში შესვლა - ვნახოთ, იქნებ ამის შემდეგ მართლა მისცენ ჩვენმა ლეგიონერებმა მაგალითი ქართველ ბიზნესმენებს.

დავით თავართძილაძა



Georgische Fussball Federation und Profi-Fussball Liga gratulieren Herrn Klaus Toppmoeller, dem Trainer von Georgischen Fussball Nationalmannschaft, zum 56 Geburtstag.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲜᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ფანკლუბისა და ეროვნული სტადიონის დირექციის ინიციატივით, 12 წლამდე ბავშვთა შორის street soccer-ის ტურნირი გაიმართება. თამაშები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე, სპეციალურად მონყობილ მოედანზე ჩატარდება. მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები ელექტრონული ფოსტის მისამართზე fanclub@fanclub.ge გამოგვიგზავნეთ ან დაგვირეკეთ 542 542, 877766770, 893317772. განაცხადები 23 აგვისტომდე მიიღება.



ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ 9UP33767E 273U67

"სპორტ-მძსპრმსის" ინფორმაციით კახა ალადაშვილი "მოსკვადან" გაუშვეს. 23 წლის ფეხბურთე-ლი კიევის "დინამოს" საკუთრებაშია, თუმცა იქ ძირი თად გუნდში ვერ ხვდება, სათამაშო პრაქტიკა არ აქვს და ამის გამო პრემიერლიგელ "მოსკვაში" ეშურებოდა გადასვლას. საამისოდ რუსულ კლუბში გასინჯვაზე ჩავიდა, ერთი ხანობა ივარჯიშა კიდეც გუნდთან, მაგრამ, ჩანს თავი ვერ მოაწონა კლუბის ხელმძღვანე-ლობას. ყოველ შემთხვევაში, "სპორტ-ექსპრესი" ალადაშვილის ნასვლის მიზეზად ამას ასახელებს.

მერაგ მამულაშვილი



გახსენე...

www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

1830065&

3NK30MN 430M733K 35665JJJONKJ33JENS

ᲬᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲔᲡ, ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲡ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲣᲒᲔᲡ

როვნული ჩემპიონატის პირველმა ტურმა მოლოდინი გაამართლ აბსოლუტურად ყველა მატჩმა უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა და ბოლო წუთებამდე შეხვედრის ბედი არსად იყო გადაწყვეტილი. დაფიქსირდა ლოგიკური შედეგებიც და მოულოდნელი ანარიშებიც, რაც პირველობას, ცხადია, დამატებით ხიბლს მატებს. მე-19 ჩემპიონატი პარასკევს გაისნა

სამი მატჩით. ახალციხეში ერთმანეთს უმაღლესი ლიგის ორი დებიუტანტი დაუპირისპირდა. გასულ სეზონში "მესხეთმაღალი დონის ამაც" და "მგლებმაც" ფეხბურთი აჩვენეს და საინტერესო იყო, ფებიქობის აცვებებ და ამისტერები მჭად რამდენად იყვნენ ეს გუნდები მზად უფ-რო მაღალ დონეზე საასპარეზოდ. შეხ-ვედრა მაღალი დონისა ნამდვილად ვერ გამოდგა, მრავლად იყო ელემენტარული ორმხრივი შეცდომები, თუმც მეტოქე-ებს თავგამოდებას ვერ დავუკარგავთ. მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე უფრო იქნებოდა, სტუმრებს საგოლე მომენტების ნაწილი მაინც რომ გამოეყენებინათ, გაიმარჯვებდნენ კიდეც. თუმცა ვერც "მესხეთზე" ვიტყვით, რომ სამი ქულა არ დაუმსახურებია, ახალციხელებმა მედგ-რად იბრძოლეს, მომენტებში გაუმართლათ კიდეც და ტრიბუნაზე შეკრებილი ქომაგთა სოლიდური რაოდენობა სადებიუტო გამარჯვებით გაახარეს. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ "მესხეთისა" და "მგლების" მაქსიმუმი უმაღ-ლესში დასარჩენად ბრძოლა უნდა იყოს, ორივე გუნდს ამის რიგიანი შანსი აქვს.

ამ მატჩის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი **აკაკი დევაძის** ტრავმა იყო - ვეტერანმა გოლკიპერმა ხელის ძვალი გაიბზარა და ვარჯიშს ათიოდ დღეში განაახლებს.

ზესტაფონი"-"ვიტ ჯორჯიის" შედეგს მთლად მოულოდნელიც არ ეთქმის. სანტოსის ოჯახის თავს დატრიალებული უსიამოვნებების შემდეგ, ფეროელთა რიგებში მთლად საბრძოლო ვითარება არ უნდა იყოს. ამის საპირის-პიროდ, "ვიტ ჯორჯია" საგრძნობლად მომძლავრებულია. ვეტერინართა ბირთვი უცვლელი დარჩა, უკრაინულმა შეკრებამ ახალგაზრდები ფიზიკურად მოაძლიერა, **ნიკოლოზ გელაშვილის** დაბრუნებამ კი წინა ხაზში არსებული პრობლემები მოაგვარა და შედეგიც სახეზეა -"ზესტაფონმა" ქულა მხოლოდ ბოლო ნუთზე გადაარჩინა. ბუნებრივია, "ზეს-



ლიგის ახალწვეულები მესხეთი და მგლები პირველივე ტურში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს

გაფონი" ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად რჩება, მაგრამ ისიც ნათელია, რომ "ვიტ ჯორჯიისგან" გაცილებით მეტს უნდა ველოდოთ, ვიდრე წინა სე-

ყველაზე მოულოდნელი შედეგი ვა-კეში დაფიქსირდა. **გიორგი კიკნაძესა** და ზაზა ზამთარაძეს, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული კონტინგენტი ჰყავთ, რომელიც გუნდში მათ მისვლამდე დიდი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიდა. ასე რომ, ნელ-ნელა ყველა რწმუნდება, რომ ამ დუეტის სახით ქართულ საფეხბურთო სამყაროს წარმატებული და პერსპექტიული მწვრთნელები ეზრდება. როგორც ამბობენ, კიკნაძე და ზამთარა-ძე "ლოკომოტივს" ქართული გარემოს-თვის უჩვეულო, "ფრაიბურგში" ათვისებული მეთოდებით ამზადებენ.


ერთადერთი გამორჩეული ინდივიდუალისტი კი რკინიგზელებს **ლევან ყე-**ნია ჰყავთ, რომელმაც "ამერის" ძლევაში ლომის წილი დაიდო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა განსაკუთრებით მეორე ტაიმში გაილაღა, როცა მისი შეჩერება რამდენიმე ამერელს ერთად უწევდა. ლევანი პირველი ტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო და თუ გერმანიაში წასვლა დაუგვიანდა, "ლოკომოტივს" კიდევ არაერთ გამარჯვებას მოუტანს.

"ამერი" კი, როგორც ჩანს, "ბელხა ტოვთან" ბრძოლამ გადაქანცა. საკვირველი ის იყო, რომ გლდანელებმა თავისი ერთ-ერთი მთავარი კოზირი - კარგი ფიზიკური მომზადება ვერ გამოავლინეს და, უპირველესად, სწორედ ამ კომპო-ნენტში დაიჩარგნენ. რა თქმა უნდა, ეს საქართველოს თასის მფლობელთათვის დროებითი ჩავარდნაა, მაგრამ შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, ამერელებს ეს დანაკარგი მწარედ გაახსენდეთ.

შაბათის მატჩებიდან და საერთოდ, პირველი ტურის დაპირისპირებებიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას ჩემპიო-ნისა და ვიცე-ჩემპიონის დაპირისპირება იქცევდა. კარგად გახსოვთ, ოქროსმედა-ლოსნის ბედი წინა სეზონში სწორედ რუსთავულმა შეხვედრამ გადაწყვიტა. ქვემო ქართლის მთავარ ქალაქში შაბათს განსხვავებული შინაარსის თამაში იყო. "ოლიმპმა" მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლო **დუშან უჰრინის** გუნდისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა, შესვენების შემდეგ კი "დინამოს" სწორმა და პრაგმატულმა ტაქტიკამ შედეგი გამოი-ლო. სტუმართა შორის გაბონელები გამოირჩეოდნენ. **აკირემიმ** საუცხოო სილამაზის გოლი გაიტანა და ისედაც ბევ-რი იშრომა, **ოვონომ** კი ყველაფერი მოიგერია, რაც მისი კარისკენ წავიდა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ "დინამოს" მეკარის პრობლემა აღარ აწუხებს.

ახალი "სიონი" რომ მაღალ მიზნებს ვეღარ შეეჭიდება, ეს იმთავითვე ნათე-ლი იყო, მაგრამ შინ "სპარტაკის" ძლევა ულაპარაკოდ მართებდათ ნოდარ აკობიას შეგირდებს. იყვნენ კიდეც ახლოს გამარჯვებასთან, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა ვერაფრით გამოიყენეს და ფრეს დასჯერდნენ. ცხინვა-ლურ გუნდს რაც შეეხება, მისი მაქსიმუ-მი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს, რაც კობა ჟორჟიკაშვილის გუნდს, ალბათ, ძალიან გაუჭირდე-

უმაღლესში დასარჩენად მებრძოლთა კიდევ ერთი ჯახი გორში გაიმართა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში "დილამ" იმარჯვა. გორული კლუბის ხელმძღვა-ნელობა კი შიშობდა, საუმაღლესლიგოდ არ ვიყავით მზადო, მაგრამ დავრწმუნდით, რომ შიდაქართლელები კიდევ ბევრს გაამწარებენ. როცა ელემენტარული დაფინანსება ჰქონია და საუკეთესო ადგილობრივი კადრებიც ჰყოლია, "დილა" ყოველთვის ახერხებდა უმაღლეს ლიგაში დარჩენას და ამის დიდი შანსი ამ სეზონშიც ექნება. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს ამ ამოცანას მხოლოდ



ᲢᲣᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ

3KMA3K 5JNA53AN (PROESAM)

გიორგი ფეიქრიშვილის პასით ჯორჯ აკირემი მეკარესთან პირისპირ გავიდა და შესანიშნავი დარტყმით "დი-ნამოს" გამარჯვებას დაუდო სათავე. გაპონელი ფორვარდი მხოლოდ ამ ეპიზოდის გმირი არ ყოფილა - მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, ბევრი იშრომა, არც შავი სამუშაო უთაკილია და უპრინციპულესი მეტოქის ძლევაში ლომის წილი დაიდო. აკირემიმ ღირსე-ულად შეცვალა სანდრო იაშვილი და უმოკლეს დროში იქცა "დინამოს" ვარ დამრტყმელ ძალად. აქედანვე აშკარაა, რომ ჯორჯი ბომბარდირობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია.



"ტურის ფეხბურთელობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, "ოლიმპთან" მატჩში ტურის ფეხიურთელობა ჩემთვის მალიას დიდი ააცივის, რლის მაფისი მაქსიმალურად დავიხარჯე და მოხარული ვარ, თქვენმა გაზეთმა ასე რომ დამაფასა. საკმაოდ რთული თამაში იყო, გადამწყვეტი უპირატესობა მეორე ტაიმში მოვიპოვეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. დიდი მადლობა გიორგი ფეიქ-რიშვილს, რომელმაც ჩინებული საგოლე პასი მომცა. იმდო, "დინამო" გამარჯვებათა სერიას გააგრძელებს", – თქვა აკირემიმ "ლელოსთან" საუბარში.

აქვე გეტყვით, რომ აკირემიცა და ოვონოც გაპონის ნაკრებში გამოიძახეს. გაბონელები 21 აგვისტოს საფრანგეთს შეხვდებიან.

ბათუმელი ფეხბურთელების ანაბარად დარჩენილი "ბათუმი".


"ბორჯომს" არაერთ გუნდზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და თუ იმას გავიხსენებთ, რომ გაცილებით მძიმე მდგომარეობაში მყოფიც ახერხებდა საუკეთესოთა შორის დარჩენას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ სეზონში "ოქროს შუალედის" ბინადარი იქნება და ლიდერებსაც ტოლ-სწორად შეებრძოლება. განახლებული "მერანიც" საინტერესო გუნდი უნდა იყოს, რიგიანი შემსრულებლები თბილისურ გუნდსაც ჰყავს.

მოკლედ, სასტარტო მატჩებს ფეხბურთის მოყვარულთა იმედები ნამდვილად არ გაუცრუებია. მე-19 ეროვნული ჩემპიონატი ბევრ საინტერესოს გვპირდება და იმედია, ისევე დინამიურად გაგრძელდება, როგორც დაიწყო.

18360	
വർഗ്നേ-ദർന്നാപ്പ	1:0
%36839M60-308 %M4%03	1:1
ന്ന്യപ്പായായ	2:1
MCU93U-GU979M	0:2
บบบยบ-คราพจากบ	1:1
ぬしまり-9700.09U	1:0
94-35 Page 19-92	1:0

&ᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

მთავარი ამბავი, რაც პირველ ტურს მოჰყვა, **ვარლამ კილასონიას** "ოლიმპის" ლება იყო (მეორე მწვრთნელად დააბრუნეს). ისე, რუსთავული კლუბის ხელმძღვა-ნელთა არათანმიმდევრულობა (ეს რბილად რომ ვთქვათ) გაგვკვირვებია, "ასტა-ნასთან" მარცხის შემდეგ გაიძახოდნენ, ვილასონიას დრო უნდა მივცეთო, "დინამოსთან" მატჩის შემდეგ კი გაირკვა, რომ ეს დრო მხოლოდ რამდენიმე დღე და ერთი თამაში ყოფილა. ეს შედეგი კი "ოლიმპისთვის" მოულოდნელი უბედურება არ უნდა იყოს - "ასტანასთან" სირცხვილნაჭამმა გუნდმა "დინამოსთან" თუ ნააგო, არ გახლავთ დიდად გასაკვირი ამბავი. ასე რომ, მხოლოდ კილასონიაზე ჯოხის გადატეხვა არ უნდა იყოს მართებული. ვნახოთ, რამ-დენი დრო მიეცემა მის შემცვლელს, უკრაინელ ანატოლი პისკოვეცს.



14 383NUAM L3883830NN 2007




45%330n

asamacazan anazanmonaka www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐ**Ზ**ᲑᲔᲒᲘ

യാമറന്നെ



შოთა ვან გაალსა და ალკმაარს დაემშვიდობ:

anagnaya, ayon anagnaya, ayon

გუშინდელ "ლელოში" გაუწყეთ, რომ ნაოპერაციები შოთა არველაძე პოლანდიიდან ესპანეთში, ვალენსიაში დაბრუნდა. შოთა "ლევანტეში" "ალკმაარიდან" გადავიდა და ვალენსიაში მიმავალს პოლანდიელებმა გაცილება მოუწყვეს - არველაძე ლუის ვან გაალს, "ალკმაარსა" და გუნდის ქომაგებს დაემშვიდობა, იქვე ყოფილა ლუიშ ფიგუც, ვინაც არველაძე რამდენ-გერმე მიიწვია საქველმოქმედო მატჩებისთვის.

შოთამ ალკმაარელობისას ერედივიზიონში 36 გოლი გაიტანა, უეფას თასზეკი -12. ის "ალკმაარში" მართლაც საუკეთესო იყო. - მალე 35 წლის გავხდები და მსურს, ეპანეთის ჩემპიონატშიც გამოვცადო თავი. რაც კი ფეხბურთს ვთამაშობ, ევ-როტურნირები არ გამომიტოვებია, კარიერის ბოლოს კი ასე აღარ იქნება. "ლევანტეს" ალბათ ისევ ის მიზნები ექნება, რაც წინა სეზონში ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის პრიმერა დივიზიონი ისეთივეა, როგორც ნბა კალათბურთელებისთვის. ფეხბურთელებისთვის ფეხბურთელთა უმეტესობას ესპანეთისკენ უჭირავს თვალი, რადგან იქ საუკეთესო ჩემპიონატია - უთქვამს შოთას რუსული "სპორტ-ექსპრესისთვის".

დავით თავართძილაძე

13747BFJGUJ9UF 924U

ᲛᲣᲯᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲛᲐ ᲒᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ

ლატ30აპი ვირსლიგის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. რიგის "სკონტომ" შინ ვერ მოუგო ლიდერს, ლიეპაიას "მეტალურგსს" - 0:0. ტრადიციულად
"სკონტოს" ქართველ მცველთა დუეტიდან ითამაშა მხოლოდ დავით გამეზარდაშვილმა, ზაალ ელიავა კი განაცხადშიც არ ყოფილა. გამეზარდაშვილი შეტევებში ხშირად ერთვებოდა
და უკანაც საიმედოდ თამაშობდა. თამაზ პერტიას "დინაბურგი" კვლავ დამარცხდა, ამჯერად შინ "დაუგავასთან"
- 0:2. მასპინძლები 58-ე წუთზე ცხრანი
დარჩნენ მოედანზე, 70-ე წუთზე პერტიამ მოედნიდან ლევან კორდალიძე
გაიყვანა. ჩემპიონი "ვენტსპილსი"
"ოლიმპსს" წუხელ ესტუმრა.

19 თამაშიდან 33 ქულით "სკონტო" ცხრილში მესამეა, "ვენტსპილსს" 29 ქულა აქვს და მეოთხეა, თუმცა "სკონტოზე" ორი მატჩით ნაკლეპი აქვს გამართული. პერტიას "დინაბურგი" 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და მხოლოდ წყალნაღებულ "ოლიმპსს" (5 ქულა 18 მატჩში) უსწრებს.


ლიტვაში A ლიგის 23-ე ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონმა და ლიდერმა "კაუნასმა" სტუმრად 4:0 გაანადგურა თასის მფლობელი "სუდოვა". "კაუნასის" სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ გივი კვარაცხელია იყო, ნუკრი მანჩხავა და იჯარიდან გამოთხოვილი აკაკი **ხუბუტია** სათადარიგოთა სკამზე ისხდ-6ენ. კვრაცხელია მე-16 წუთზე გააფრთხილეს, მე-60 წუთზე კი ანგარიში 3:0 გახადა. 81-ე წუთზე მოედანზე მანჩახავაც შემოვიდა. ტურში ვილნიუსის "ვეტრამ" სტუმრად 3:1 მოუგო "შილიუტეს" სტუმართა ქართველმა ახალწვეულმა ვახტანგ კვარაცხელიამ 69-ე ნუთზე გაიტანა. **სულიკო კაკაბაძის** ახალი კლუბი "ინტერასი" "ატლანტასს" ეწვია და 0:3 დამარცხდა. სულიკომ და გიორგი ფურცელაძემ სასტარტოში დაიწყეს, ფურ-

ცელაძე შესვენებაზე შეცვალეს.
"კაუანასი" 23 მატჩიდან 47 ქულით
პირველ ადგილზეა, "ვეტრა" 32 ქულით
მეექვსეა, "ინტერასი" 8 ქულით – ბოლოზე.

ბელარუსში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც მოგილევში გამართული შეხვედრა იყრ ჩვენთვის საინტერესო, ალექსანდრე შუბლაძის "დნეპრმა" რომან გოგინაშვილისა და



დავით გამეზარდაშვილი (25) და სკონტო მეტალურგსს დაუზავდნენ



გიორგი ნიკურაძე

გია თოდუას "პრესტს" უმასპინძლა და 3:1 მოუგო. მატჩის 83-ე წუთზე პენალტით შუბლაძემ გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მან 90 წუთი ითამაშა და "პრესბოლისგან" 5 ქულა დაიმსახურა. გოგინაშვილი 56-ე წუთზე შევიდა მოედანზე, თოდუამ კი 90 წუთი ითამაშა. სწორედ მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტის წყალობით გაათანაბრეს სტუმრებმა, თუმცა ანგარიში ვერ შეინარჩუნეს. თოდუა "პრესბოლმა" 4,5 ქულით შეაფასა, გოგინაშვილი - ოთხით. "დნეპრი" და "პრესტი" 14-14 ქულით გასავარდნი ზონის უშუალო სიახლოვეს არიან.

პოლონეთის უმაღლეს დივიზიონში სამი ტური მიილია, მამია ჯიქიას "რუ-ხი" 6 ქულით ცხრილის ზედა ნახევარ-შია, ბოლო ტურში ხოჟუველებმა "სოს-ნოვიეცს" უმასპინძლეს და მეტოქე 1:0 დაამარცხეს. აქამდე ჯიქია არ გამოჩე-ნილა მოედანზე.

ფინეთის მეორე ლიგაში (იკონენ ლიგა) გიორგი ნიკურაძის ტპ-47-მა სტუმრად 3:1 დაამარცხა "ტამპერე" ვანდერლეის და ბულგაკოვის გოლების წყალობით. ქართველის გუნდი 22 ქულით მეექვსე ადგილზეა.

ლით მეექვსე ადგილზეა.
სომხეთში ქართველები ორ კლუბში
თამაშობენ, სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს - ბოლოადგილოსანი "ულისი" შინ
0:1 დამარცხდა "განძასართან". ხეირიანი
სომხური საიტი ვირტუალურ სივრცეში
არ არსებობს, ასე რომ, ოპერატიულად
მატჩის ოქმის ნახვა შვუძლებელია.


მატჩის ოქმის ნახვა შეუძლებელია.
კიდევ ერთი აზერბაიჯანული კურიოზი - ქვეყანაში ჩემპიონატი დაიწყო და
ჯერაც არ გარკვეულა რამდენი კლუბი
ითამაშებს, 13 თუ 14. მოგეხსენებათ,
უეფას თასზე თამაშის შემდეგ ერთ კვირაში "არაზი" მარტივ მამრავლებად დაიშალა. ახლა აფა (აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაცია) ფიქრობს დაამატოს თუ

არა უმაღლესს მეორე ეშელონის კლუბი "ბარდა". ჩემპიონატი კი სენსაციით დაიწყო, "ნეფთჩი" შინ "თურანთან" 1:2 დამარცხდა. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა გიორგი ადამიამ. "ბაქიმ" შინ 3:1 დაამარცხა "გენჩლერბირლიი". მასპინძელთა მეორე გოლი ამირან მუჯირის ანგარიშზეა, ქართველი 62-ე წუთზე შეცვალეს, 90 წუთი ითამაშა

ალექსანდრე გოგობერიშვილმა. "ქარვანი" შინ 0:1 დამარცხდა ჩემპი-"ხაზართან", მასპინძელთა შორის ითამაშეს ალექსანდრე ინწკირველმა და რომან ახალკაცმა. რომ არა სტუმართა გოლკიპერის ქარიმ აგაევის თავგანწირული თამაში, **რომან ახალ-**კაცი ანგარიშს მეორე ტაიმში გაათაბრებდა. ბაქოში ქართველ მეკარეთა დუელი არ შედგა, დებიუტანტი "სტანდარდი" შინ 0:1 დამარცხდა "კაბალასთან", მასპინძელთა კარში არ ჩააყენეს ახალწვეული **ზურაბ ბათიაშვილი**, "კაბაკარი კი მშრალად **ზურაბ მამალა**ძემ შეინახა, დაცვის ცენტრში ითამაშა თურანიდან" გადასულმა ირაკლი ვაშაკიძემ, ნახევარდაცვაში ყაზახეთიsan მა და თორნიკე აფციაურმა. გამარჯ. ვების გოლი მატჩის 51-ე წუთზე თორნიკე აფციაურმა გაიტანა. კახში ზაქათალის "სიმურგმა" 1:0 დაამარცხა "ყარაბახი", სტუმართა რიგებში მეორე ტაიმში გამოჩნდა გოგა ბერაია.

ყაზახეთში მნიშვნელოვან მაგჩში დამარცხდა ყარალანდის "შახტიორი", ქართველთა გუნდი სტუმრად კუსტანაიში "ტობოლთან" შერცხვა - 2:4 და მეორე ადგილი უშუალო მეტოქეს დაუთმო. სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ **ლაშა ნოზაძ**ე იყო, რომელიც უკვე 41-ე წუთზე შეცვალეს, **ლევან მელქაძეს** არ უთამაშია.


ნიკოლოზ ნეფარიძე



BOTTLO

Secreta augeunc

ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐᲛ ᲐᲚᲕᲔᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲡᲐᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲙᲕᲐᲠᲔᲨᲛᲐ?



უცნობია, რამდენხანს დაისვენებს მიკაელ ესიენი

"ჩელსის" კიდევ ერთი ფეხბურთე-ლი დაუშავდა. "ბირმინგემთან" მატჩისას (3:2) მიკაელ ესიენმა მუხლი იტკინა და ხვალ, შეიძლება, "რედინგთან" შეხ-ვედრა გამოტოვოს. *"როცა შევამჩნიე*, რომ კოჭლობდა, მაშინვე შევცვალე. არ ვიცი, ითამაშებს თუ არა ოთხშაბათს, მაკელელე ივარჯიშებს, ალბათ, ფერეირაც. შევჩენკო, ტერი, ბრიჯი და ბალაკი არ იქნებიან," - თქვა ყოზე მოურინიომ კვირას გამართულ პრესკონფერენცია-ზე. "რედინგთან" თამაში იოლი გასეირნება არ იქნება. პირველ ტურში სტივ კოპელის შეგირდებმა ყველაზე ხმაუ-რიანი სენსაცია გამოაცხვეს. მათ "ოლდ ტრეფორდიდან" ერთი ქულა წამოიღეს

(0:0), ახლა კი "ჩელსის" გაწბილებაზეც არ იტყვიან უარს. მომავალ უქმეებზე "არისტოკრატები" "ლივერპულს" ეს-ტუმრებიან, მაგრამ მოურინიო "რედინგთან" მატჩში შესუსტებულ შემადგენლობას ვერ დააყენებს. მას ქულების გა-ნიავების უფლება არ აქვს: "თებერვალი ან მარტი რომ იყოს და სამ დღეში ჩემპი-ონთა ლიგის მატჩი გვქონდეშ, ალბათ, ვილაცას დავასვენებდი, მაგრამ დღეს ამის დრო არ არის. ჩვენ და "ლივერპული" თანაბარ მდგომარეობაში ვიმყოფებით: ოთხშაბათს, როცა "რედინგს" შევხვდებით, ლივერპულელები "ტუ-ლუზთან" (ჩეპიონთა ლივის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში) ითამაშებენ."

მოგეხსენებათ, "ბირმინგემთან" შე-ხვედრაში "ჩელსიმ" ინგლისის ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა. მან შინ 64მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო და ერთი თამაშით გააუმჯობესა ბობ პეისლის ლეგენდარული ლივერპულის 1978-1981 წლების მიღწევა. ახლა მოურინიო პირადი რეკორდის ზღვარზეა. მას საკუთარ მოედანზე პორტუგალიი-სა და ინგლისის ჩემპიონატებში ("პორ-ტუსა" და "ჩელსის" მწვრთნელი რანგში) 99 მატჩია, არ წაუგია. 25 აგვისტოს"სტემფორდ ბრიჯს" "პორტსმუთი" ესტუმრება. თუ ლონდონელები კვლავ არ დამაცხდებიან, მოურინიო 100-მატჩიან ნიშნულს მიაღწევს. "არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი მეგობარი ჰარი რედნაპი (პორტსმუთის მწვრთნელი) რეკორდის დამყარებაში ხელს შე-მიშლის. არ დაგიმალავთ, ძალიან მინდა მე-100 წაუგებელი მატჩის ჩატარება."

დასასრულს, გეტყვით, რომ ოთხშა-ბათს, ათენის აეკ-თან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში, დანიელ ალვეში სევილიელთა განაცხადში არ იქნება. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ანდალუსიელები ბრაზილიელი მცველის გაყიდვას აპირებენ. ალვეში ლონდონელებს სურთ და რახანია, მოლაპარაკებებს მართავენ. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, "სევილია" 24 მილიონ გირვანქას ითხოვს.

და კიდევ, თუ **არიენ რობენი** "რე-ში" გაიყიდება, "არისტოკრატები" რიკარდო კვარეშმას ტრანსფერზე დაიწყებენ ზრუნვას. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, "პორტუ" 27 მილიონ გირვანქას ითხოვს. შესაძლოა, მოვლენები ასეც განვითარდეს: რობენი "ჩელსიში" დარჩეს, მადრიდელებმა კი თვითონ მოიწადინონ პორტუელი გარემარბის ხელში ჩაგდება. კვარეშმას ინგლისზე მეტად, ესპანეთში გამგ-

ზავრება სურს.

とあしつちと四つ

ԴԵՐԻՑՎԻՆԵՐ MKƏTMNEJ6 93623KM3N?



ბერნი ეკლსტოუნი ფეხბურთში ინვესტირებას აპირებს

რი კლუბის შეძენა სურს, მეთოფეები პრაღაში შესუსტებული თავდასხმით ითამაშებენ...

"ფორმულა 1-ის" ბოს **ბერნი ეკლს**ტოუნს "არსენალის" შეძენა უნდა. მან ეს გასულ უქმეებზე "თაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა. ლონდონელი დირექტორები კლუბის გაყიდვას არ ჩქარობენ. რამდენიმე თვის წინა თ"მეთოფეები" წინ აღუდგნენ ამერიკელი მილიარდერის **სტენ** კროენკეს ანალოგიურ განზრახვას. კროენკე "არსენალის" აქციონერია და კლუბის 12.2 პროცენტს ფლობს. მის პროექტს ღიად ლობირებდა მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი **დევიდ დინი,** რის გა-მოც თანამდებობის დატოვება მოუხდა.

რა განუცხადა ეკლსტოუნ "არსენალის" ხელმძღვანელობას აქციების გაყიდვა არ სურს. მორატორიუმი ნელინადს გასტანს. ვნახოთ, რა მოხდება ამ დროის გასვლის შემდეგ. ერთ წელინადში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. "არსენალის" აქციებს დღესვე შევიძენდი, მაგრამ ერთი პირობით: მე საკონტროლო პაკეტი მინდა."

ბრიტანელმა მიმომხილველებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ეკლსტოუნის ქალიშვილი დევიდ დინის ვაჟს ხვდება. ესე იგი, მისტერ ბერნის პროექგშიც, შეიძლება, დინის ხელი ერიოსო. დინი "არსენალის" უბრალო თანამშრომელი არ ყოფილა. კლუბის 14.5 პრო-ცენტი მისი საკუთრებაა. გადადგომის შემდეგ დინს აქციები არ გაუყიდია. მი-

სი კეთილგანწყობის მოპოვებას პოტენციური ინვესტორებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სტენ კროენკემ უკვე განაცხადა, რომ "არსენალის" შეძენის შემთხვევაში, დინს აღმასრულებელ

დირექტორად დანიშნავს.

"არსენალზე" საუბარს "ფულჰემ-თან" საკვირაო მატჩით (2:1) გავაგრძე-'ფულჰემის" თავკაცმა **ლორი** სანჩესმა მეტოქე სიმულიანტობაში დაადანაშაულა. მან არბიტრი ფილ დაუდიც გააკრიტიკა: მეტოქის უწესობაზე თვალს ხუჭავდა, შემდეგ კი "მეთოფეების" სასარგებლოდ საეჭვო პენალტი დანიშნაო: "ერთი კვრის წინათ მე და არსენ ვენგერი ერთად დავესნარით სემინარს საფეხბურთო ლიგის ოფისში. შევთანხმდით, რომ სიმულიანტობას დაუნდობელ ბრძოლას გამოვუცხადებდით. კვირას კი მინიმუმ სამ ეპიზოდში "არსენალის" ფეხბურთელებს სიმული-ანტობა უპრობლემოდ გაუვიდათ. ამი-ტომ არ გამკვირვებია, რომ პენალტიც

მიმომხილველებმა სანჩესის ბრალდებები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. უფრო მეტიც, ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ დაასკვნეს, რომ მე-20 წუთზე ფულჰემი" პენალტით დასჯას იმსახურებდა - სტივენ დევისმა ალექსანდრ გლები საკუთარ საჯარიმოში წააქცია. დაუდს კი წესების დარღვევა არ დაუფიქსირებია. საგანგებო კომენტარი გა-აკეთა **არსენ ვენგერმა**: *"მთელი არსე*ბით სიმულიაციის წიანაღმდეგი ვარ. პროფესიონალი შეუძლებელია, მწვრთნელი გერქვას და არასპორტულ საქციელზე თვალი დახუჭო. ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასაც აქტიურად ვემხრობი. სიმულაციასთან ბრძოლის ეფექტურ გზად კი ის მიმაჩნია, რომ წითელი ბარათის გამოყენება ნამატჩევს, ფირის გაანალიზების შემდეგაც შეიძლებოდეს."

აქვე გეტყვით, რომ ხვალ "არსენალი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკა-ციო ეტაპზე პრაღის "სპარტას" შეხვდება. ლონდონელებს ტოგოელი თავდამსხმელი ემანუელ ადებაიორი ვერ დაეხმარება. ხორვაგ-ბრაზილიელი ედუარდო და სილვას თამაშის შანსი კი 50 პროცენტია.



უეინ რუნის საპედისწერო წაქცევა

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ

MJENL MMN തമാ കായത്താകാ

ᲢᲔᲕᲔᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲡᲛᲣᲗᲗᲐᲜ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ

უეინ რუნი ორი თვე ვერ ითამა-შებს. ეს ინფორმაცია გუშინ **სერ ალექს ფერგიუსონმაც** დაადასტურა. ყველა-ზე პესიმისტური პროგნოზით, რომე ლიც "რედინგთან" საკვირაო მატჩის დასრულებისას გაკეთდა, ფეხბურთელს სამი თვე უნდა გაეცდინა, მაგრამ ორი თვეც ვერაფერი შეღავათია. ამ ხნის განმავლობაში რუნის არა ერთი მნიშვნელოვანი თამაშის გამოტოვება მოუწევს - კლუბშიც და ნაკრებშიც. ის "იუნაიტედს" რვა კალენდარულ შეხ-ვედრასა და ჩემპიონთა ლიგის ორ მატჩში დააკლდება. ინგლისის ნაკრებს კი გერმანიასთან, ისრაელსა და რუსეთ-თან ვერ დაეხმარება. 21 წლის თავდამს-

ხმელს ტერფის ძვალი აქვს გატეხილი. შარშან გაზაფხულზე ანალოგიური ტრავმის მოსარჩენად მას ექვსი კვირა დასჭირდება. თუმცა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ტერფის ძვლის გატეხვამ ის 14 კვირით ჩამოაშორა მინდორს. რუნი სწორედ იმ ზაფხულს გადავიდა "იუნაიტედში", თუმცა ტრავმის გამო სადებიუტო მატჩი დაგვიანებით ჩაატარა. ამჯერად, ფერგიუსონი იმით თუ დაიმშვიდებს თავს, რომ **კარლოს** ტევესი სრულფასოვანი მანჩესტერელია და "პორტსმუთთან" ხვალინდელ შეხვედრას ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს.

realyance uycaucan?

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ. ᲐᲘᲐᲥᲡᲡ 27 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ <u>Ე</u>ᲕᲠᲝ



ვესლი სნეიდერი

30სლი ს60იდერი მადრიდის "რეალში" ჩაირიცხა. ჰოლანდიელი ნახევარმცველი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ""აიაქსს კი 27 მილიონ ევროს მიუთვლიან. ეს თანხა 35 მილიონ დოლარს აღემატება, მაგრამ დაახლოებით 3 მილიონით ნაკლებია იმასთან შედარებით,


ლად ითხოვდნენ. რთული მოლაპარაკებებისა და ურთიერთბრალდებების მიუხედავად, ორი კლუბი კვლავაც თბილ ურთიერთობას შეინარჩუნებს. ეს ფაქტი 'აიაქსის" პრეზიდენტმა **ჯონ იაკემაც** დაადასტურა. გარიგების უმალ ის მადრიდელ კოლეგას შეეხმიანა და წარმატებები უსურვა. "თქვენ მსოფლიოს საუკეთესო ნახევარმცველი შეიძინეთ," - უთხრა იაკემ რამონ კალდერონს.

გასული კვირის მიწურულს გრანდების დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. ხუთშაბათს "რეალმა" "აიაქსს" 24 მილიონი ევრო შესთავაზა. "აიაქსმა" თავდაპირველად მოთხოვნილ 30 მილიონს სამი მილიონი დააკლო და ფეხბურთელის ფასი 27 მილიონამდე დაიყვანა. "რეალის" სპორგულმა დირექგორმა პრედრაგ მიატოვიჩმა ჰოლანდიელებს ულტიმატუმი წაუყენა: 24 საათს გაძლევთ, რათა ფეხბურთელი 24 მილიონად დაგვითმოთო. შეურაცხყოფილი "აიაქსი" მოლაპარაკებების შეწყვეტით დაიმუქრა. შაბათს პრეზიდენტმა კალდერონმა ამსტერდამელ კოლეგას ბოდიში მოუხადა და კოლსულტაციების განახლება შესთავაზა. კლუბები მეორე დღესვე შეთანხმდნენ. სნეიდერის მადრიდული პრეზენტაცია გუშინ საღამოს, სამედიცინო შემონმების გავრასაც ამსტერდამელები თავდაპირვე- ლისთანავე უნდა გამართულიყო.

タクぬクႲネぬク: アクቦクႲル LJa3&WWUJaUi

ან&ონიო კასანოს საშველი დაადგა. მას შემდეგ, რაც გაცხადდა, რომ "რეალში" ის არავის სჭირდება, ფეხბურთელმა მზერა სამშობლოს მიაპყრო. თითქოს, იქ არა ერთ კლუბს სურდა მისი გადაბირება, მათ შორის, გრანდებსაც, მაგრამ ბოლოს მაინც "სამპდორიამ" გარისკა. გენუელთა გენერალური დირექტორის **ბეპე მარო- გასა** და მის მადრიდელ კოლეგა **პრედრაგ მიატოვიჩს** შორის გუშინდელი შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ კასანო "დორიას" ერთნლიანი არენდით მიაშურებს, რაშიც იტალიური კლუბი 1.4 მილიონ ევროს გადაიხდის. კლუბებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, "სამპდორია" უფლებას იტოვებს, ერთი წლის შემდეგ ფეხბურთელი სრულად გამოისყიდოს და ამაში კიდევ 2.8 მილიონი ევრო





დევიდ ბექპემი ჯერჯერობით მხოლოდ ავტოგრაფებს არიგებს

დევიდ ბექკემს კიდევ ერთი მატჩი გაუცდა. მას კვირას "ნიუ ინგლენდ რე-ვოლუშენთანაც" არ უთამაშია. მიზეზი ტრავმაა. MLS-ში გადასვლის შემდეგ ბექჰემს ერთი თამაშიც არ დაუწყია ძირითად შემადგენლობაში. სადებიუტო მატჩი კი მხოლოდ გასულ ხუთშაბათს "ვაშინგტონ იუნაიტედთან" ჩაატარა

(შეცვლაზე შევიდა). მის არყოფნაში გალაქსიმ მორიგი მარცხი იწვნია. ერთადერთი გოლი "ნიუ ინგლენდისა" და ამერიკის ნაკრების თავდამსხმელმა ტეილორ ტველმანმა შეაგდო. სტადიონი პირთამდე იყო გავსებული. თამაშს 35 402 ადამიანი დაესწრო. "რევოლუშენი" საშინაო მატჩებზე ამდენი მაყურებ3ᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

CERECEU CEUN NECEECE

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲓᲔᲕᲘᲓᲛᲐ ᲐᲓᲘᲓᲐᲡᲘ ᲜᲐᲘᲙᲖᲔ ᲒᲐᲪᲕᲐᲚᲝᲡ, ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲙᲘ ᲖᲘᲓᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ...

ლის მხარდაჭერით განებივრებული არ გახლავთ. ფანების სიმრავლე ბექჰემის დმსახურებაა. ამ თამაშზე მოსახვედრად მაყურებლებს ოთხმატჩიანი აბონემენტების შეძენა მოუხდათ. ასე რომ, ტრიბუნები მომდევნო სამი შეხვედრის დროსაც სავსე იქნება. ნამატჩევს ბექზი პრესკონფერენციაზე არ გამოჩენილა. ამ დროს ის ავტოგრაფებს არიგებდა, თუმცა გასახდელში შესვლამდე "ასოშიეიტედ პრესის" მიმომხილველს განუცხადა, იმედი მაქვს, ერთ ან ორ კვირაში ტრავმას საბოლოოდ მოვიშუშებო. კვლავ უცნობია, ითამაშებს თუ არა ბექჰემი 22 აგვისტოს ინგლისი-გერმანიის ამხანაგურ მატჩში, ან ისრაელსა და რუსეთთან შესარჩევ შეხვედრებში, რომელიც 8 და 12 სექტემბერს "უემბლიზე" უნდა გაიმართოს.

"წიუ იორკ პოსტის" ცნობით, "ნაიკს" ინგლისელ გალაქტიკოსთან კონტრაქტის გაფორმება სურს. მოგეხსენებათ, დევიდს ადიდასთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს. ის გერმანული გიგანტის ერთერთი სახეა. ამის სანაცვლოდ კი წლიურად 4 მილიონ დოლარს იღებს. ბექჰემისა და "ადიდასის" ხელშეკრულება გაისად ზაფხულში ინურება. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ბექჰემი მას
აღარ გააგრძელებს. "ნაიკი" მზადაა,
ბევრად უფრო სარფიანი პირობები
შესთავაზოს. დევიდის წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. "ნაიკისთვის" კი საამაყო იქნებ, თუ ამხელა
ვარსკვლავს უმთავრესი კონკურენტის
ბანაკიდან გადაიბირებს.

დასასრულს კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ნოემბერში "ლოს ანჯელესი გალაქსი" ავსტრალიაში გაემგზავრება. ის ავსტრალიური A ლიგის კლუბ "სიდნისთან" საჩვენებელ მატჩს ჩაატარებს. შეთანხმების ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი ისაა, რომ ბექჰემმა

აუცილებლად უნდა ითამაშოს. სიდნეური კლუბის დირექტორები გულშემატკივრებს სხვა სიურპრიზებსაც ჰპირდებიან. თითქმის მიღწეულია შეთანხმება ზინედინ ზიდანთან. ზიზუ, რომელიც ფეხბურთს შარშანდელი მუნდიალის დასრულებისთანავე გამოეთხოვა, მინვეული სტუმრის სტატუსით მასპინძელთა შემადგენლობაში ითამაშებს. შესაძლოა, "სიდნის" კარში ფაბიენ ბარტეზი ვიხილოთ, ისიც მხოლოდ ერთი მატჩითა და სტუმრის სტატუსით. არაოფიციალური ინფორმაციით, ზიდანს ამ ერთ საღამოში 300 ათას დოლარს გადაუხდიან. თანხა მთლიანად ზიზუს საქველმოქმედო ფონდში ჩაირიცხება. ამგვარად, ძველი მეგობრები ერთმანეთს ნოემბერში შორეულ ავსტრალიაში შეხვდებიან. მატჩის ორგანიზატორები სხვა დეტალებს მოგვიანებით გვეტყვიან.

35KLJCM65

WOUNDEMACRE USSYCEFULY

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ, ᲛᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲢᲝᲡ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐᲗ...



ტიერი ანრი და რონალდინიო

შაპათს, "ბარსელონამ" აზიური ტურნე დაასრულა. ბოლო მატჩში მან ჰონკონგის ნაკრებს 4:0 მოუგო. ერთი გოლი ტიერი ანრიმ გაიტანა. თავი გამოიჩინეს ჩავი ერნანდესმა, სამუელ ეტოომ და კიდევ ერთმა ახალწვეულმა, მექსიკელმა ფუნდერკინდმა ჯოვანი დოს სანტოსმა. სტადიონი სანახევროდ იყო შევსებული. კატალონიური გრანდის სანახავად მხოლოდ 23-მა ათასმა გულშემატკივარმა მოიცალა. მიზეზი საშინელი ამინდი იყო. პარასკევს ჰონკონგს ტაიფუნმა "პაბუკმა" გადაუარა. შაბათსაც გადაუღებლად წვიმდა და მინდორი ფაქტობრივად, დატბორილი იყო. უნდა ითქვას, რომ აუტანელი კლიმატური პირობების მიუხედავად, კატალონიელებს თავი არ დაუზოგავთ. ისინი საუცხოო ფიზიკური კონდიციებით გამოირჩეოდნენ.

ფრანკ რიიკაარდი კმაყოფილი იყო. მწვრთნელი განსაკუთრებით იმას უსვამდა ხაზს, რომ გუნდს უპრობლემოდ შეეწყვნენ ანრი და იაია ტურე. რიიკაარდის თქმით, აზიური ტურნე ძალიან ნაყოფიერი გამოვიდა. ფეხბურთელებმა კარგად იმუშავეს. მართალია, ოპტიმალური ფორმის მისაღწევად კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ ამ ეტაპისთვის ყველაფერი თითქმის იდეალურადაა. გულშემატკივრებს ყველა საფუძველი აქვთ, რათა ახალ სეზონს ოპტიმისტური განწყობით შეხვდნენ. სეზონი კი მოგეხსენებათ, ორ კვირაში დაიწყება. პრიმერა დივიზიონის პირველ ტურში "ბარსელონა" სანტანდერის "რასინგს" ესტუმრება.

კვირას "ბარსამ" შინისკენ აიღო გეზი. გუშინ გუნდს შვებულებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები - ლეო მესი და გაბრიელ მილიტო უნდა შეერთებოდნენ. ვარჯიშს განაახლებს დეკუც, რომელმაც აზიური ტურნე ნაადრევად შეწყვიტა და ბრაზილიაში გაემგზავრა. მიზეზი ერთობ საპატიო იყო: მისმა მეუღლემ მეოთხე ვაჟი, დავიდი გააჩინა.

ᲘᲣᲕᲔᲜᲒᲣᲡᲘ ᲡᲐᲞᲐᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘ ᲜᲐᲒᲐᲚᲔᲡ ᲣᲮᲛᲝᲑᲡ

"(7030ნტუსმა" "უდინეზესთან" მოლაპარაკებები განაახლა. ტურინელთაგასპორტულმა დირექტორმა უან კლოდ ბლანმა "კორიერე დელო სპორტს" აუნყა, რომ ტრანსფერებისთვის კიდევ 15 მილიონი გირვანქა აქვთ გადადებული. "ქალბატონი" მზადაა, ეს თანხა ფრიულელ მცველ კრისტიან საპატაში დახარჯოს. აგრეთვე მისი კიდევ ერთი თანაგუნდელი - ანტონიო დი ნატალე ან ფაბიო კვალიარელა შეიძინოს. ამ ორ უკანასკნელს შორის "იუვეს" სიმპათია დი ნატალესკენ იხრება. ანტონიოს უდინელთა ახალ მწვრთნელ პასკუალე მარინოსთან უთანხმოება აქვს. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი უდინეზეს პრეზიდენტ ჯამპაოლო პოცოს ერთ-ერთი ფავორიტია. ამიტომ მის შესაძენად მარტო ფული შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. საჭიროების შემთხვევაში, "იუვე" მზადაა, ფრიულელებს რაფაელე პალადინოც გადაულოცოს.

33474299 3374739 344739 354739

"ბბრსმლონა" ეიდურ გუდიონსენის სანაცვლო 6.7 მილიონ გირვანქას ითხოვს. ამ ცნობამ ინგლისში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ფეხბურთელს "ვესტ ჰემი", "მიდლსბრო" და "ბლექბერნი" შეეხმიანნენ, მაგრამ ისლანდიელმა ალბიონზე გადასვლის სანაცვლოდ კვირაში 100 ათასი გირვანქა მოითხოვა. ეს ინფორმაცია გუშინდელ "მირორში" ამოვიკითხეთ. პოპულარული ტაბლოიდი ეჭვობს, რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილმა კლუბმა ამხელა ხელფასის დანიშვნა მოახერხოს.

aveau askyvus rueusus

"მანჩესტერ სიტის" რომაელი მცველის მატეო ფერარის შეძენა სურს. "ევერტონისა" და "პარმის" ყოფილი ფეხბურთელის სანაცვლოდ ინგლისელები 6 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. გარიგების შემთხვევაში, ფერარი მესამე ფეხბურთელი გახდება, რომელსაც "სიტის" თავკაცი სვენ გორან ერიქსონი სერია A-დან გადაიბირებს. პირველი ორი რეჯინელი როლანდო ბიანკი და ფიორენტინელი ვალერი ბოჟინოვია იყვნენ.

ያይነ የንፈንሎፁበ

"ბლეძბერნის" თავდამსხმელი ბენი მაკარტი საავადმყოფოდან გაწერეს. "მიდლსბროსთან" შაბათის მატჩში სამხრეთაფრიკელ ფორვარდს თავში იდაყვი უთავაზეს. ეს განზრახ უხეშობა არ ყოფილა. ფეხბურთელი მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში დაშავდა. მაკარტის მოსულიერებას ხუთიოდე წუთი დასჭირდა. მას კისერზე დამცავი სალტე გაუკეთეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. სამედიცინო გამოკვლევამ სერიოზული დაზიანება ვერ გამოავლინა. ბენი ორიოდ დღეს დაისვენებს და მხოლოდ ამის შემდეგ განაახლებს ვარჯიშს.

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

376 GJY 37796PU79U5 764U7EM 37636PU79U5

ᲘᲜᲢᲔᲠᲡ 17 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲔᲪᲝᲢᲐᲕᲐ...

გერმანშლი საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, "ვალენსიამ" "ჰამბურგისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გადაბირება მოისურვა. ჰამბურგელებს თავიანთი ლიდერის გასხვისება ჯერ არ სურთ, მაგრამ ფაქტია, რომ კარგი წინადადების შემთხვევაში, უარს ვერ იტყვიან - მით უმეტეს, რომ თვითინ ფეხბურთელს პრიმერადივიზიონში გადაბარგების პერსპექტივა ძალიან ხაბლაცა. ვან დერ ვაარტმა "ბილდს" უთხრა, "ვალენსიის" დარ სუპერკლუბში დიდი სიამოვნებით გადავიდოდით. "ბილდისვე" ინფორმაციით, "ვა-

ლენსიის" ხელმძღვანელებსა და "ჰამბურგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანს** შორის პირველი მოლაპარაკებები უკვე შედგა.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით კი, "ღამურებს" "ინტერის" ბრაზილიელი თავდამსხმელის, ადრიანოს გადაბირებაც სურთ. ჩვენი იტალიელი კოლეგები იტყობინებიან, რომ "ვალენსიამ" "ნერაძურის" 17 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ მილანური კლუბის ბოსებს ეს თანხა ეცოტავათ და ესპანელებისთვის შეუთვლიათ, თუ მოლაპარაკებების გაგრძელება გსურთ, თანხა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოთო...

ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲔᲒᲐ

30~05#30 30~05#30 30~05#30 30~05#30

ᲒᲝᲙᲐ ᲮᲣᲜᲘᲝᲠᲡᲘ 2009 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲘᲪᲓᲘᲡ?

ხუან რომან რიკელმე ესპანეთში ბრუნდება. არგენტინელი ნახევარმცველი კარიერას ისევ "ვილიარეალში" გააგრძელებს. ამით წერტილი დაესმება სპეკულაციებს მის მომავალთან დაკავშირებით. თებერვალში რიკელმემ "ბოკა ხუნიორსს" მიაშურა. ფეხბურთელმა საიჯარო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ხანმოკლე პერიოდში მან ლიბერტადორესის თასი მოიპოვა და ბაირესელთა ნამდვილ ლიდერად იქცა. ზაფხულში ხუან რომანი არგენტინის ნაკრებთან ერთად "კოპა ამერიკაზე" გაემგზავრა. მან ისევ შთამბეჭდავად ითამაშა. მისი გუნდი ფინალში გავიდა და ბრაზილიასთან 0:3 წააგო. "ვილიარეალის" პრეზიდენტმა ფერნანდო როიგმა მაშინვე განაცხადა, რომ ფეხბურთელის დაბრუნება სურდა. მთავარ მწვრთნელ მანუელ პელეგრინის კი ამ იდეით აღფრთოვანება სულაც არ გამოუხატავს. საქმე იქით მიდიოდა, რომ ხუან რომანს "ბოკასთან" ახალ საიჯარო კონტრაქტზე უნდა მოეწერა ხელი. ამიტომ გუშინდელი ცნობა მისი ესპანეთში დაბრუნების შესახებ ნამდვილი სიურპრიზია. კითხვაზე, როგორ წარმოუდგენია პელეგრინისთან თანამშრომლობა, რიკელმემ მიუგო: "პრობლემას ვერ ვხედავ. ჩემი მოვალეობაა, ბევრი ვივარჯიშო. შემდეგ კი მწვრთნელი გადაწყვეტს, ვითამაშებ თუ არა. არ გამოვრიცხავ, მომავალში ისევ "ბოკა ხუნიორსში" დავბრუნდე. ეს ალბათ 2009 წლის ზაფხულში მოხდება, როცა ვილიარეალთან კონტრაქტი დამიმთავრდება."



ხუან რომან რიკელმე

-Cic



ტრეზეგეს გააქვს პირველი გოლი რომას კარში

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ty ceenace ura 47 4Wa7

กฆรวธชฆเก-ศฑลง

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (26. კ. dა-ი), ანდრადე, კრიშიტო, მოლინარო, სალიჰ-

შაპათს ჩეზენის "დინო მანუციზე" მოსამზადებელი პერიოდის ყველაზე საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა. "იუვენტუსმა" დიდი ანგარიშით, 5:2 დაამარცხა "რომა", რომელიც მომავალი იტალიური სეზონის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. მატჩის მნიშვნელობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყვე-ლებს, რომ მას "სკუადრა აძურის" დამრიგებელი რობერტო დონადონი დაესწრო. სხვათა შორის, გრიბუნაზე ბრძანდებოდა კალჩოს ლეგენდარული მწვრთნელი ენცო ბეარძოტიც, რომლის თავკაცობითაც 1982 წელს იტალია მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი...

მატჩის სტარტი "იუვენტუსისთვის" მეტად არასახარბიელო გამოდგა. "რომამ" აქტიურად შეუტია მეტოქეს და 25ე წუთისთვის ორი ბურთითაც დაწინაურდა. ამ ეპიზოდებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ კლაუდიო რანიერის დაცვაში ჯერაც სერიოზული პრობლემები აქვს. თუმცა მარტო დაცვაში არა - **ალ**მირონმა მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, რომელსაც ვუჩინიჩი დაეუფლა, კარისკენ გაიჭრა და ბუფონს მარჯ-

ვენათი გაუტანა. ცოტა ხანში, იაკუინტამ თავგზა აუბნია **პანუჩის** და **ნედვედს** ხელსაყრელ პოზიციაში გადააწოდა, მაგრამ უშედეგოდ. და მალე "რომამ" უპირატესობა გააორმაგა. დაცვის კიდევ ერთი შეცდომა - **ტოტიმ** ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ყველასგან მიტოვებულმა **მექსემ** თავურით ანგარიში 2:0 გახადა. დაცვის ფრონტზე რანიერის კიდევ ერთი იმედგაცრუება 26-ე წუთზე ელოდა, როცა პირინდელიმ ტრავმის გამო თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო... და იქვე, "რომამ" კინაღამ მესამეც შეაგდო, როცა გოტის ბრწყინვალე ქუსლური **ბუფონმა** აიღო. სწორედ აქედან დავონტრშეტევა, რომელიც ნე მა გააგრძელა, ტრეზეგე პირისპირ გაიყვანა დონისთან და ბურთი შორეულ კუთხეში აფართხალდა, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა "იუვეს" ყველა პრობლემა უკან მოეტოვებინა. "ქალბატონი" ეფექტურად ათამაშდა და ექვს ნუთში ნონასწორობაც აღდგა. იმავე ტრეზეგემ კიდევ ერთი გოლი მიითვალა, ამჯერად, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრ **ნოჩერინოს** უზუსტესი გადაცემის წყალობით.

შემდეგ რანიერიმ ტაქტიკური გადა-დგილება გააკეთა: შეცვლაზე შესული ძანეტი ნახევარდაცვაში გადაისროლ დაცვის მარჯვენა ფლანგზე სალიჰამიჯიჩი დახია, ხოლო მარჯვენა გარემარ-

ბად ნოჩერინო გაამწესა. სვლამ გაამართლა. მეორე ტაიმში ტურინელთა უპი-რატესობა აშკარა გახდა და ეს სამ უპა-სუხო გოლშიც აისახა. ამასობაში, ტრეზეგეს ნაცვლად მოედანზე დელ პიერო გამოჩნდა. მესამე გოლი სწორედ მისი მონანილეობით გავიდა. მოლინაროს დარტყმის შემდეგ ბურთი ალექსს მიუვიდა, ამან კი დაბალი გადაცემა გაუკე-თა იაკუინტას, რომელსაც ახლო მანძი-ლიდან პრობლემა არ ჰქონია. მეოთხე კი გოლი ასე გავიდა: ნედვედის დარტყმული მეკარე **კურჩიმ** მოიგერია, უკუგდებული ბურთი კარისკენ ალმირონმა მიაბრუნა და დელ პიეროსგან ოდნავ რიკოშეტირებული ბადეშიც გაახვია - 4:2. შემდეგ მატჩი მცირე ხნით შეწყდა.

მოედანზე "რომას" ერთ-ერთი ფანი შეიჭრა და ტოტის გადაეხვია. პოლიციამ ის მშვიდად მიაბრძანა მოედნიდან და თამაში განახლდა. განახლდა და იქვე სალაიეტამ მეხუთედ აიღო "ჯალორო-"კარი. დელ პიეროს ჯარიმა კურჩიმ კი მოიგერია, მაგრამ უპატრონო ბურთთან ყველაზე ადრე ურუგვაელი ფორვარდი გაჩნდა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 5:2.

მატჩის შემდეგ რანიერიმ თამაში ასე შეაფასა: "აღფრთოვანებული ვარ თამაშის ხარისხითა და ჩემი გუნდის მტკიცე ხასიათით. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ზაფხულის თამაშები და ამ დრო-ისთვის ფეხბურთელები ფორმაში არ არიან. ამიტომ, ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ, ისევე, როგორც დეპრესია არ მოჰყოლია ინგლისსა და გერმანიაში წაგებულ თამაშებს".

შემდეგ რანიერიმ უპასუხა ჟურნა-ლისტის კითხვას, რომელიც ზემოთ ხსენებულ ტაქტიკურ გადაადგილებას ფეხპურთია მწვრთნელმა უნდა იმოქმედოს იმის მიხედვით, რისი რესურსიც გააჩნია. ხანდახან, ასეთმა ექსპერიმენტებმა, შეიძ-ლება, ახალი გზები გიჩვენოს და ახალ გადაწყვეტილებამდეც მიგიყვანოს. ეს

შემდეგ, მედიის კითხვებს **ლუჩანო** სპალეტიმაც უპასუხა: *"ჩვენს თამაშში* იყო რამდენიმე დეფექტი, რაც მუდმივად თან გვდევს და მეჩვენება, რომ ის უკვე "რომას" თამაშის დამახასიათებელ ატრიბუტადაც იქცა. არ აქვს მნიშვნელობა, ვის ვეთამაშებით, ამ შეცდომებს ყოველივის ვიმეორებთ. ჩვენ აუცილებლ უნდა ვიმუშაოთ ამ ხარვე ზების აღმოფხვრაზე. საბოლოო ჯამში, შემიძლია ვთქვა, რომ თუ არ ჩავთვლით ბოლო ნა-ხევარ საათს, ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ნახევარდაცვაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა და "იუვემ" ეს უპირატესობა სათანადოდაც გამოიყენა. წლევანდელი შემადგენლობა შარშანდელზე ცოტათი დიდია და ხარისხიანია, მაგრამ ოთხი-ხუთი მოთამაშის არყოფნა მაინც სერიოზული მინუსია. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ გუნდს კიდევ სჭირდება გაძლიერება და სატრანსფე-რო ფანჯრის დახურვამდე, იმედია, რა-ღაცას მოვახერხებთ".

ommost wil te nachce anaminus a 7P76U 64U397

Ს**ᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ ᲟᲣᲜᲘᲜᲘᲝᲡᲗ**ᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲐᲛᲑᲘᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐᲠᲢᲝ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲙᲛᲐᲠᲐ

ბოლო ექვსი წელიწადია, "ლიონი" სტაბილურობის ეტალონად იქცა და არა მხოლოდ შინაურ ფრონტზე. ის ევროპაშიც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება და ყველა გათვლით, ასე იქნება მომავალ სეზონშიც. ამ ზაფხულს გუნდს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი ალენ პერენი, რომელიც "სტად ჟერლანზე" ახალი გეგმებითა და ამბიციებით მივიდა. პერენის სადებიუტო მატჩი წარმატებული გამოდგა. პრემიერ დივიზიონის სასტარტო ტურში "ლიონმა" "ოსერს" შინ 2:0 მოუგო, ამ შაბათს კი გასვლაზე "ტულუზთან" 0:1 დამარცხდა. ახალი "ლიონის" ასანყობად მუშაობა გრძელდება...

കാദനമ്പാദവാകവ 85955980908966

სტაგილუროგა კი ვახსენეთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო თვეებში სიტუაცია შეიცვალა. ზედიზედ მეექვსე ჩემპიონობის აღსანიშნავი ზეიმი **ჟერარ ულიესთან** დაკავშირებული გა-უგებრობის ფონზე მიმდინარეობდა. საბოლოოდ, ფრანგმა სპეციალისტმა გუნდი დატოვა. ულიეს კვალდაკვალ "ლიო-ნიდან" წავიდნენ ის მოთამაშეებიც, რომლებიც მოედანზე ამინდს ქმნიდნენ: ერიკ აბიდალი, ფლორან მალუდა და ტიაგო მენდეში. შემდეგ, გუნდის კაპიტან კლაუდიო კასაპას, ჟერემი ბერტოსა და ალუ დიარას ჯერი დადგა. მერე, სიდნი გოვუმ და ჟუნიონიომ სახალხოდ იჩხუბეს, ხოლო რაც შეეხებათ სილვენ ვილტორსა და ფრედს, ამ ორი ფორვარდის ბედიც ჰაერში გამოეკიდა. დისციპლინის დარღვევისთვის მათ სანქციები გამოუწერეს..

യാപാച്ചാ വഴാളകാടന

ამ ძაMს∩ს აღკვეთა "სოშოს", "მარ-სელისა" და "პორტსმუთის" ყოფილ მწვრთნელს, 50 წლის ალენ პერენს დაევალა. სხვათა შორის, "სოშოსთან" ერთად გასულ სეზონში მან საფრანგეთის თასი მოიგო. ადრე, პერენმა რამდენჯერმე გაუშვა ხელიდან "ლიონში" მუ-შაობის შანსი, ახლა კი გუნდში არცთუ სახარბიელო დროს მივიდა.

"დანიშვნისთანავე, რამდენიმე არასასიამოვნო ფაქტის მომსწრე გავხდი, ამბობს პერენი, - გუნდში სიტუაცია დაძაბული იყო, რაც მძიმე სეზონით შეიძლება აიხსნას. დიდი იყო განბილება "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დამარცხების გამოც. გუნდი დატოვეს წამყვანმა მოთამაშეებმა, სამწვრთნელო შტაბში კი ახლები მოვიდ-6ენ. ჩვენ სულ სხვა სისტემით მოგვი-წევს მუშაობა. მოკლედ, "ლიონს" რთუ-ლი დროება უდგას".

მზაღეგის 08530

07730 პერენს თავიდან არცთუ სასიამოვნო განწყობა ჰქონდა, წინასასეზონო ამხანაგურმა მატჩებმა ეს განწყობა, ალბათ, უკეთესობისკენ შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელს უთუოდ უნდა გასჩენოდა იმის იმედი, რომ "ლიონი" მოულოდნელ კრიზისს თავს მალე დააღწევდა. და აი, პირველი ოფიციალური მატჩიც: საფრანგეთის სუპერთასის მატჩში პერენმა თავისი ყოფილი გუნდი "სოშო" 2:1 დაამარცხა. "დასაწყისში აუცილებელი იყო ერთგვარი დაკვირვება, - აგრძელებს პერენი, - ანუ სიკოაციის ზონდირება და დარწმუნება

იმაში, რომ ფეხპურთელები ახალ მწვრთნელთან თანამშრომლოპისთვის მზად იყვნენ. ცოტა მოგვიანებით ეს მზადყოფნა აშკარად დავინახე. მოთამაშეებმა ადვილად გამიგეს და ახლა, ისინი მართლაც მზად არიან, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყონ. გუნდში ახალი მწვრთნელებისა და მოთამაშეების მოსვლა ყოველთვის მოქმედებს მოტივაციაზე, მაგრამ სტაბილურობის დაკარგვაზე საუბარი დღესდღეობით ნაადრევი და უსაფუძვლოა. ბოლოს და ბოლოს, "ლიონის" ბირთვი, რომელსაც კუპე, კრისი, ჟუნინიო, კალსტრიომი და ტუ ლალანი შეადგენენ, უცვლელი დარჩა".

30836305 **കറകൗന്ന**

პერენის მიერ ჩამოთვლილ ბირთვს დაუმატეთ მატიე ბოდმერი, კადერა კე-იტა, ფაბიო გროსო, ნადირა ბელჰაჯი და მიიღებთ საკმაოდ ბრძოლისუნარიან კოლექტივს, რომელსაც შეუძლია, ზედიზედ მეშვიდედ გახდეს საფრანგეთის ჩემპიონი. ხსენებულ მოთამაშეებს ნებისმიერ სიტუაციაში შეცვლიან "ლიონის" ახალგაზრდული აკადემიის აღზრ-დილები - ქარიმ პენზემა, ატემ ბენ-აფრა და ლუაკ რემი. ისევ პერენი: *"ჩვენი* პროგრამა-მინიმუმი ჩემპიონობის შენარჩუნებაა, მაქსიმუმი კი წარმატებით გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ეს იოლი ამოცანაა, მაგრამ ასე არ არის, რადგან ჩვენი კონკურენტები აშკარად გაძლიერდნენ".

პერენის აზრით, განსაკუთრებით საშიშია "მარსელი", მოლონიერდა "მონაკოც" და, რა თქმა უნდა, არც "პარი სენ ჟერმენი" იქნება გულხელდაკრეფილი. "შესაძლოა, ის ფაქტი, რომ "ლიონმა" ბევრი წამყვანი მოთამაშე დაკარგა, ჩვენს მეტოქეებს ძლიერ ახარებთ კიდეც. ამიტომაც იყო აუცილებელი გა-მარჯვებები ჩემპიონატისწინა მზადეპის პერიოდში".

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ, 30**Რ**ᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ **จ**ฆยดยดนคด3ดค

პირველად, ბოლო სამი წლის განმავლობაში, "ლიონმა" უარი თქვა ნაცად 4-3-3-ზე და კლასიკურ 4-4-2-ზე გადაერთო. თუმცა ტაქტიკურ ცვლილებას ხელი არ შეუშლია საფრანგეთის ჩემპიონისთვის, ამხანაგურ მატჩებში მეტოქე მეტოქეზე დაემარცხებინა. "ხალხი შეეჩვია "ლიონის" სათამაშო სტილს, - ამბობს პერენი, - მაგრამ მიმაჩნია, რომ 4-4-2 ჩვენს თავდასხმას უფრო მოქნილს გახდის"

თუმცა, ამ ახალი სქემიდან გამომდინარე, მოსაფიქრებელი იქნება ჟუნი-ნიოს ახალი როლიც. ბრაზილიელი მი-

ეჩვია მოედნის ცენტრში, ცოტათი მარცხნივ გადაწეული ნახევარმცველის ამპლუაში თამაშს. მაგრამ, როგორც პერენი ამბობს, ჟუნინიოსთვის პრობლემა არც ახალ ამოცანებთან შეჭიდება იქნება: "ის გახსნილია ახალი იდეებისთვის. 4-4-2-ის დროს, გამომდინარე იქიდან, თუ ვის ვეთამაშებით, მას შეუძლია, გადავიდეს ფლანგზე, ან ერთ-ერთი ცენტრალური ნახევარმცველის ფუნქცია შეასრულოს... მეტსაც გეტყვით, განვიხილავ ახალ სქემას, რომელსაც სწორედ რომ ჟუნინიოს მოვარგებ, რადგან მიმაჩნია, რომ ის უდიდესი ფეხბურთელია და ნებისმიერი ამოცანის შესრულება შეუძლია".

90960ഈ **&**5d**&**035

პერენს მიაჩნია, რომ მოქნილი ტაქტიკა შეიძლება აღმოჩნდეს ის გასაღები, რომელსაც "ლიონი" დიდი ხანია ეძებს და რომელიც გუნდს ევრონარმატებე-ბამდე მიიყვანს. *"როცა ევროპულ ტურ*ნირებში თამაშობ, აუცილებელია, გვყავდეს ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა მანერით თამაში, გამომდინარე იქიდან, თუ რა გაქგიკას გვთავაზობს მეტოქე. საამისოდ მზადყოფნა აუცილებელია, თუ გვინდა, რომ ევროპაში დავიქუხოთ. ჩვენი ოპონენტეპი ხომ სწორედ მრავალფეროვანი ტაქტიკის ხარჯზე აღნევენ წარმატებებს"

ლიონელები, რომლებიც ზედიზედ სამჯერ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, ხოლო ბოლო გათამა შებაში მერვედფინალის ბარიერი ვერ დაძლიეს, დიდი ხანია, აკაკუნებენ ევროელიტის კარზე, მაგრამ ეს კარი მათთვის ჯერ ისევ დახურულია. "უეფას რეიტინგში "ლიონი" მეათე ადგილზეა. ამიტომ, მეოთხედფინალში გასვლა, შეიძლება, შესანიშნავი შედეგიც იყოს. შემდგომ ეტაპად უნდა იქცეს საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა, მაგრამ ჯერჯერობით, გასაგებ მიზეზთა გამო, ეს ურთულესი ამოცანაა, რადგან ლიგაში ძალიან ბევრია ჩვენზე ძლიერი გუნდი".

ാദ്നെദ്യാന 050000566

...პრადა, "ლიონის" ქომაგებისთვის საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული უკვე აღარ არის საკმარისი. აქედან გამომდინარე, პერენის მუშაობას იმის მიხედვით შეაფასებენ, თუ რას მიაღწევს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში. "მოლოდინი დიდია. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყველა მაგჩი მოვიგოთ და ამისთვის თავს არ დავზოგავთ. რა გაეწყობა, ვიღებ ამ გამოწვევას"





უნდესლეგის პირველ ტურში იმდენი რამ მოხდა, რომ მიმოხილვაში ყველაფრის მოყოლა შეუძლებელი იყო. ამიტომაც, რისი თქმაც გუშინდელ ნომერში ვერ მოვასწარით, დღეს გამოხმაურების სა-ხით გთავაზობთ...

როსტოპის "ჰანზას" განადგურებამ (3:0) ბავარიაში ეიფორია გააათმაგა. "ბაიერნის" მოსალოდნელ გამარჯვე-ბას "ბილდი" ასე გამოეხმაურა: *"რა* მოხდება, როცა ერთ გუნდში საუკეთესო გერმანელი, ფრანგი და იტალიელი შეიკრიბებიან? გოლები, გოლები, გო-ლები!" ფაქტი ის გახლავთ, რომ ახლა, რეკორდმაისტერს მთელი გერმანია შურიანი თვლებით უყურებს. შემტევი ტრიო, რომელიც მიუნხენურ კლუბს 51 მილიონი ევრო დაუჯდა, მართლაც იდეალურია. "ჰანზა" მიროსლავ კლოზემ, ლუკა ტონიმ და ფრანკ რიბერიმ გაანადგურეს. არცაა გასაკვირი, ნა-მატჩევს კლოზემ რომ განაცხადა, ეს საუკეთესო გუნდია იმ გუნდებს შორის, სადაც ოდესმე მითამაშიაო.

...და ჩვენი გერმანელი კოლეგების ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს "ბაიერნი" ეჭვი იმის ძესახებ, რომ ეს "ბაიერხი" ყველა მნიშვნელოვან თამაშს უპრობ-ლემოდ მოიგებს, სულაც არაა საფუძ-ველს მოკლებული. ოტმარ ჰიტცფელ-დის სამწყსო, ერთი შეხედვით, მართლაც დაუმარცხებელი კოლექტივის შთაბეჭდილებას ტოვებს.

"სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ ახალწვეულები ერთმანეთს თავიდანვე ასე კარგად შევეწყობოდით. იმ მომენტში კლოზეს შეეძლო დაერტყა და ჩემზე არ ეფიქრა, მაგრამ ასე არ მოიქცა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხ-დი და ვპირდები, რომ აუცილებლად სამაგიეროს გადავუხდი, თანაც, არაერ-თხელ," - განაცხადა ტონიმ. მაგრამ რიბერი მაინც ყველაზე გამორჩეული გახლდათ. როსტოკელებმა, როგორც მო-სალოდნელი იყო, ფრანგს ვერაფერი მოუხერხეს და მის შეჩერებას მხოლოდ

აკრძალული ილეთებით ახერხებდნენ. მეორე ტურში სუპერბაიერნი ბრე-მენში ჩადის. "ვერდერი" "ჰანზა" არ არის და ეს მიუნხენელებმაც იციან. ჰიტცფელდი ბრემენული კლუბისგან სერიოზულ ნინააღმდეგობას ელის. აერიოზულ ხიხააღმდეგობას ელის. კლოზე კი, რომელიც რეკორდმაისტერ-ში სწორედ "ვერდერიდან" გადავიდა, ამბობს: "ბრემენში, რა თქმა უნდა, მო-საგებად ჩავალთ!" და შანსი იმისა, რომ "ბაიერნი" "ვეზერშტადიონიდან" ხელ-ცარიელი გამობრუნდეს, ძალიან მცი-

"3ერდერი" კი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. თითქოს ის არ იყო საკმარისი, რომ "მუსიკოსებს" 8 ფეხბურთელი ლაზარეთში ჰყავთ, "ბოხუმთან' შეხვედრაში, რომელიც ფრედ 2:2 დას-რულდა (არადა, ბრემენელები 2:0-ს იგებდნენ), ტიმ ბოროვსკიმაც ტრავმა მიიღო და უკვე ცხადია, რომ "ვერდერს" დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ველარ დაეხმარება. თომას შააფი მოკირებულია - მან ხომ კიდევ ერთი წა-მყვანი ფეხბურთელი დაკარგა. და შესა-ბამისად, დიდი შანსია, რომ "ვერდერმა" ამ სეზონში ძალიან ცუდ სტარტს "გამოჰკრას ხელი'

ბოროვსკის ტრავმას თან **ვიზეს** გარშემო ატეხილი სკანდალიც დაერთო. ტურის მიმოხილვაშიც ვნერდით, რომ "პოხუმის" ფანებმა "მუსიკოსების" მეკარეს სანთებელები დაუშინეს. როგ-ორც თვითონ ამბობს, **ბოუბაკარ სანო**გოს გოლის შემდეგ, გულშემატკივრებ-მა მისკენ დაახლოებით 30-40 სანთებე-ლა ისროლეს. "ბოხუმის" ფეხბურთელი მალტრიტცი კი დარწმუნებულია, რომ ვიზემ ფანების პროვოცირება შეძლო. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბრემენელებს მატჩის შემდეგ ავტობუსამდე მიღნევა გაუჭირდათ. განრისხებული ქომაგები სხვადასხვა საგნებს ისროდნენ და მათ მაში ვერც პოლიციამ შეუშალა ხელი. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირნმუნებიან, ერთ-ერთი ბლაგვი საგანი შააფის თავს მცირე მანძილით ასცდაო. ისე, "ვერდერის" მწვრთნელს ყველანაირად ცუდი დღე ჰქონდა - ყველაფერთან ერთად, მატჩის დაწყებამდე, მის ტუჩზე ბზიკი მოკალათდა და სანამ თომასი რეაგირებას მოასწრებდა, კბენაც მოასწ-

პირ3ელი ტური მეტად უიღბლო გა-მოდგა **ფელიქს მაგათისთვის,** რომლის "ვოლფსბურგმა" საკუთარ მოედანზე, ყველათვის მოულოდნელად, "არმინიასთან" 1:3 წააგო. ჩვენი გერმანელი კოლეგები ხუმრობენ, ფეხბურთელებმა
 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

amognesogn aankn: 3M883L3EEN 3N3

305 ᲛᲝᲣᲒᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲡ? ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲐᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ!



პიპლიცა ბურთს მხოლოდ ერთხელ ვერ მისწვდა, მაგრამ ამ მომენტში კოტბუსი ძელმა იხსნა..

"დესპოტ ფელიქსს" სამაგიერო გადაუ-ხადეს იმისთვის, რომ მოსამზადებელ პერიოდში მაგათმა ისინი მაგრად აწვააერირდი ბაგაბია ინიში ბაგრად აფა-ლაო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ "მგლებმა" 90 წუთის განმავლობაში სა-შინლად ითამაშეს, იმდენად საშინლად, რომ მაგათს მატჩის ნახევარზე მეტის-თვის თვალი არ უდევნებია - სახე ხე-ლებში ჰქონდა ჩარგული.

განსაკუთრებით ცუდად "ვოლფს-ბურგის" დაცვის ხაზი გამოიყურებოდა, სადაც ფელიქსმა **მადლუნგისა** და მიორლეს დუეტი გაამწესა._ამრიგად, "ვოლფებს" პირველსავე ტურში და-ეტყოთ რიკარდო კოშტას არყოფნა, რომელიც ტრავმირებულია და წლის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. მაგათს გოლოძდე ვეღარ ითამაშებს. მაგათს რეაგირება არ დაუგვიანია - "ბილდის" ინფორმაციით, "ვოლფსბურგი" პრაღის "სპარტის" მცველ იან შიმუნეკს ყიდულობს (3.5 მილიონი ევრო), რომელიც ჩეხეთში უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. ეს უკანსკნელი 1.87 მეტრი სიმაღლისაა, 20 წლის გახლავთ და ფაქტია, რომ "მგლების" საშინელ დაცვას გააძლიებიბს, შიმუნიკმა გუშინ "ფოლფსლიერებს. შიმუნეკმა გუშინ "ვოლფსბურგთან" უკანასკნელი დეტალები შე-ათანხმა და მეორე ტურში, "დუისბურგ-

თან" ითამაშებს. შიმუნეკის გარდა მა-. გათი ბრაზილიელი **ჟოსუეს** შეძენასაც აპირებს, რომელმაც საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია უნდა გააძლიე-როს. ეს ორი ფეხბურთელი "ვოლფს-ბურგის" რიგით მე-12 და მე-13 შენაძე-

'შტუტგბრტის"კარში გატანილი შესანიშნავი გოლის შემდეგ, რომელმაც "შალკეს" "გოტლიბდაიმლერშტადიონთლკეს გოტლიბდაიმლეომტადიონ-ზე" ქულა გადაურჩინა, გელზენკირხე-ნული კლუბის ახალწვეულმა ივან რა-კიტიჩმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი მოითხოვა. "სკამზე ჯდომის სურვილი არ მაქვს და ფაქტია, რომ ეს უკვე დავამტკიცე!" - განაცხადა მან. პო, "შტუტგარტთან" ერთი მოძრაობითა და დარტყმით დაამტკიცა ის, რისი დამტკიცებაც მოსამზადებელ შეკრება-ზე ვერ შეძლო. სწორედ ამის ბრალი გახლდათ ის, რომ მირკო სლომკამ "ბაზელიდან" 3 მილიონ ევროდ შეძენილი ნახევარმცველი, რომელსაც "შალკეში" ლინკოლნის შეცვლა დაევალა, პარასკევს ძირითადში არ გაამწესა და მის ნაცვლად, გამთამაშებლის პოზიციაზე ახალგაზრდა **მესუთ იოზილი** ათამაშა. "მიხარია, რომ ივანი ასეთი მონდო-მებულია. მჯერა, რომ მასზე გაცემულ ავანსებს აუცილებლად გაამართლებს," ეს სლომკას სიტყვებია.

...და რაც მთავარია, რაკიტიჩი ფრანც ბეკენბაუერმაც აქო. "ამ ბიჭმა, გოლის მომენტში, ჩემზე უდიდესი შთა-ბეჭდილება მოახდინა. ეტყობა, რომ ძაიეჟდილება მოახდიხა. ეტყობა, რომ ძა-ლიან ნიჭიერი ფეხბურთელია," - თქვა კაიზერმა. ახლა უკვე ცხადია, რომ მეო-რე ტურში, დორტმუნდის "ბორუსიას-თან" უპრინციპულეს შეხვედრაში, რა-კიტიჩი "შალკეს" ძირითად შემადგენ-ლობაში იქნება.

მოლოდინისამებრ, ძალიან ცუდი სტარტი აიღო "ჰერტამ" (0:1 აინტრახტ-თან) და მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, ბერლინელთა თავკაცი **ლუსიენ ფავრი** პოს-ტის დატოვებაზე სერიოზულად ფიქრობდა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დედაქალაქური კლუბის ბოსებმა შვეი-ცარიელი სპეციალისტის სატრანსფერო მოთხოვნები არ შეასრულეს მართალია, მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა ფავრს წასვლა გადააფიქრებინა, მაგრამ არავინ იცის, რამდენ ხანს გაძლებს ეს მწვრთნე-

ლი "ჰერტაში". ფავრი ამბობა, ამ შე გენლობას რომ ვუყურებ, ვხვლები, რ ჩემპიონატისთვის მზად არ ყართო-

ფუძველი არ დაუტოვა. "მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა. ჩემმა შეგირდებმა ძალიან ცუდად ითამაშეს. ამ გუნდს ასე ცუდად თამაშის უფლება არა აქვს. მატჩის დროს ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ეს მხოლოდ <u> გესგ-მაგჩი იყო და არა სეზონის პირ-</u> ველი ოფიციალური შეხვედრა. განსა-კუთრებით ნახევარდაცვა არ მომეწო-ნა. ასეთი თამაშით ბუნდესლიგაში ერთ-მატჩსაც ვერ მოვიგებთ," - ამბობს დ ლი, რომელიც მომდევნო კვირაში შე-გირდების დასჯას აპირებს - ბევრი

ვაოჯიიით.
ეს აუცილებელიცაა, რადგან მეორე
ტურში "ბორუსია" "შალკეს" სტუმრობს და თუკი ფანებმა საყვარელ
გუნდს "დუისბურგთან" მარცხი ასე თუ
ისე აპატიეს, "აუფ შალკეზე" დაცემაი
სერიოზული სკანდალი მოჰყვება. მიი
ლემეტეს იმის გამო, რომ "შალკეც" კბილებს ილესავს და წინა სეზონის ბოლოს მომხდარის გამო (0:2 დორტმუნდში -მარცხი, რომელმაც "შალკეს" "ვერცხ-ლის სინი" დააკარგვინა) შურისძიება

დორტმუნდელთა ერთადერთი 🖏 თელი წერტილი, ახალწვეული **მლადენ** პეტრიჩი გახლდათ, რომელმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ერთ მომენტში "დუისბურგის" კარის ძელი შეაზანზარა. თუ რა გზით უნდა გამოას-ნოროს BVB-მ თამაში იმისთვის, რომ გელზენკირხენშიც არ დამარცხდეს, ეს ჯერჯერობით, დოლისთვისაც დიდი

დუისბურგელთა ბანაკში კი დიდი ზეიმია, რადგან ამ გუნდმა ბოლო 35 წლის განმავლობაში პირველად მოახერხა "ბორუსიის" დამარცხება. და რაკი "დუისბურგიც" რურის გუნდია, ესეც ერთგვარი დერბი გახლდათ. MSV-ს რიგებში აილტონს არ უთამაშია ამწირდნალი ბომირი ამბობს, ბრაშია. მწვრთნელი **ბომერი** ამბობს, ბრაზილიელი საუკეთესო ფორმაში ჯერ არ არისო...


პ30რ0ს მეორე მატჩში მცირე სენსა-ცია გამოაცხო "კარლსრუემ", უფრო სწორად, ამ გუნდის უნგრელმა გამთლ-მაშებელმა ტამას ჰაინალმა, რომელმაც გერმანიის თასის მფლობელ "ნიურნბერგს" დუბლი შეუსრულა (2:0 იაშუონიეოგს დუილი იეუსოულა (2:0 იაშ-ვილის გუნდის სასარგებლოდ). 26 წლის ნახევარმცველმა, რომელიც სი-მაღლეში მხოლოდ 1.65 მეტრია, შესა-ნიშნავად ითამაშა, რისთვისაც ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ეს ბიჭი ბადენელებმა "კაიზერსლაუტერნიდან"

გოტფრიდ ლენცი

&7600 03-35680

ჩ3060 გერმანელი კოლეგები ხუმ-რობენ, "კოტბუსის" მეკარე ტომისლავ პიპლიცამ ან ყველა დარტყმული უნდა მოიგერიოს, ან არადა, მისი კარისკენ ნასული ყველა ბურთი ბადეში უნდა გა-იხლართოსო. ასეცაა: პიპისთვის შუა-ლედი არ არსებობს! შაბათს ვეტერან იპირს გრანდიოზული დღე ჰქონდა ლედი არ არსებობს! შაბათს ვეტერან კიპერს გრანდიოზული დღე ჰქონდა - იგი ლევერკუზენელი ფეხბურთელების აბსოლუტურად ყველა დარტყმულს ფანტასტიკურ ნახტომებში იგერიებდა, რისთვისაც "კიკერმა" 38 წლის კარის დარაჯი ტურის გმირად დაასახელა. ის, რომ "კოტბუსმა" "ბაი-არენიდან" ქულა წაიღო, მხოლოდ და მხოლოდ, პიპლიცას დამსახურებაა. 38 წლის პიპი ბუნდესლიგაში ყველაზე ასაკოვანი მეკადესლიგაში ყველაზე ასაკოვახი მეკა-რეა. "ჰო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯერ არ დავბერებულვარ! მას მერე, რაც ჯანმრთელად ვიკვებები, თავს ძა-ლიან კარგად გგრძნობ. "კოკა-კოლას" ნაცელად მინერალური წყალი, ლორის ხორცის ნაცვლად თეეზი - აი, ეს არის ჩემი წარმატების საიღუმლო!" - აცხა-დებს ტურის გმირი მეკარე.

ტურის ანტიგმირი კი "ლევერკუზე-ნის" ფორვარდი **თეოფანის გეკასი** გახლავთ - თავდამსხმელი, რომელიც წინა სეზონში 20 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გეკასმა ვერც თასზე, "ზტ პაულისთან"გაიტანა და ვერც "კოტბუს-თან" იხეირა. მიხაელ სკიბემ ბერძენი ფორვარდი 74-ე წუთზე შეცვალა...



Idrissou MSV Duisburg

Hajnal Karlsruher SC

Ribery Bayern München

Grlic MSV Duisburg

Ernst FC Schalke 04

Kukielka **Energie Cottbus**

Kompany Hamburger SV

Lamey MSV Duisburg

Piplica Energie Cottbus

პირველი ტურის სიმბოლური ნაკრები კიკერის ვერსიით



MACUSEULA ULACOEUPIC NULSCEUPYCEM JManajan bykamangajem

OMMOST TO

nmaasnan

ピンタン・ファムレア MORPES 133640179

22 წლის ლადო ჩიხლაძეს კარიერის საუკეთესო დროება უდგას - გუშინ ქართველ ჩოგბურთელს თბილისის მეორე ტურნირის მოგებისთვის გათვალისწინებული 18 ქულაც დაერიცხა, რამაც რეიტინგ-ლისტში მორიგი ნახტომი შეაძლებინა. გუშინდელ ცვლილებების გაცნობას კი კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაციით დავიწყებთ, ვაჟთა კლასიფიკაციაში ქართველებს დღეიდან სამის ნაცვლად ხუთი ჩოგბურთელი გვყავს.

ლადო ჩიხლაძეს 77 სარეიტინგო ქულა აქვს, მან ერთ კვირაში 51 საფეხურით წაინია და მსოფლიოს 407-ე ჩოგანი გახდა. ბუნებრივია, ეს ქართველი ჩოგბურთელის საუკეთესო მაჩვენებელია კარიერაში. **ირაკლი ლაბაძე** კიდევ 6 საფეხურით დაქვეითდა, ირაკლი 15 ქულით 820-ე. პოზიციაზეა. **ნოდარ** იფონიშვილი 2 ქულით 1328-ე (+7) ად-გილზეა. კლასიფიკაციაში დებიუტი აქვთ გიორგი ხრიკაძესა და გიორგი ქანტურიას, მათ თითო ქულა აქვთ და 1507-ე ადგილს იყოფენ უამრავ ერთქულიანთან ერთად.

ქალთა რეიტინგ-ლისტში საქართ-

ველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშ**ვილმა 21 ადგილი დაიკარგა და 204 ქულით 160-ე პოზიციაზე დაეშვა. სამაგიეროდ, 9 ადგილით წავიდა წინ 17 წლის ანა ტატიშვილი, რომელიც 86 ქულით მსოფლიოს 284-ე ჩოგანია. მცირე წინსვლა სალომე დევიძესაც აქვს - 26 ქულა, 554-ე (+8) ადგილი. კარიერის მიღნევა აქვს სოფიო შაფათავას, ერთადერთ ქართველს, რომელმაც გასულ კვირაში იასპარეზა - 18 წლის შაფათავა მსოფლიოს 602-ე ჩოგანია (+8), მას 22 ქულა აქვს.

სხვა ქართველები: 659 (+40) სოფიო მელიქიშვილი - 17 ქულა, 718 (+9) მანა-ნა შაფაქიძე - 14, 759 (+11) ოქსანა კა-ლაშნიკოვა - 12,5, 769 (+12) ეკა გორგოძე - 12, 946 (-) სოფიო ქვაცაბაია - 7. ათასეულს მიღმა: 1030 (+3) თინათინ ყავლაშვილი - 5, 1052 (+5) სალომე ჩაჩხუნაშვილი - 5, 1224 (+13) მარიამ ქურდაძე - 3, 1242 (+13) თეონა ცერც-ვაძე - 2,5. ოქსანა კალაშნიკოვასა და სალომე ჩაჩხუნაშვილისთვის დღევან-დელი მდგომარეობა მსოფლიო კლასიფიკაციაში კარიერის საუკეთესო მიღ-

ლადო ჩიხლაძე დღეს მიუნხენში, სა-ერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია, ქართველი კი განთესილთა შორის იქნება (ძირითადი ბადე წუხელ გამოქვეყნდა). მანამდე კი საკვალიფიკაციო ეგაპის ორთაბრძოლები გაიმართა. საკვალიფიკაციო ბადეში 19 წლის **ნოდარ ითო** ნიშვილი პირველ ნომრად განთესეს. პირველ წრეში ნოდარი ისვენებდა, მეორეში კი ის გერმანელ პატრიკ ნობლოხთან დამარცხდა - 2:6, 4:6.

სოფიო შაფათავა მოსკოვიდან პენზაში ჩავიდა, სადაც 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო წრეში ჩაება. ბადეში 18 წლის ქართველი მეოთხე ნომრად განთესეს. პირელ საკვალიფიკაციო წრეში სოფიომ ბელარუსი **ტატი**ანა კაპშაი (846) დაამარცხა - 6:4, 6:4. მეორე წრეში შაფათავას მეტოქეა რუსი ვიქტორია კამენსკაია (1078). 15 წლის კამენსკაია საკვალიფიკაციო ტურნირ-ში "უაილდ ქარდით" მოხვდა. **მანანა** შაფაქიძე გერმანიაში ბილეფელდის ტურნირში (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში იასპარეზებს.

ნიკოლოზ 60306040



ლადო ჩიხლაძე

നിട്ടിന്നും പ്രത്യം പ്രവ്യം പ്രത്യം പ്രവ്യം



ᲒᲐᲜᲐᲗᲓᲐ ᲓᲐ 37&7WW367

25 აგვისტოს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ავსტრიას უმასპინძლებს. სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე სპორტის სასახლის ხელმძღვანელობა კალათბურთის ფედერაციას დაჰპირდა, რომ მატჩისთვის საჭირო ინვენტარი 25 აგვისტომდე გამოიცვლება, სასახლე ერთი დღით გაიღება, ხოლო მეორე დღეს რემონტი ჩვეულ ტემპში გაგრძელდება.


დაპირება შესრულდა: დარბაზში იატაკიც გამოიცვალა; განათებაც იმ დონისაა, ქართველი ფოტოგრაფები წუნს ვერ დაუდებენ; ტაბლოც ევროსტანდარტების შესაბამისია და ფარებიც. მოკლედ, თამაშისთვის საჭირო ყველა ინვენტარი განახლებულია. ქომაგთა ნახევარი ახალ სკამებზე მოთავსდება, ნახევარს - ძველი სკამები დახვდება: პირველ იარუსზე 25 აგვისტოსთვის ყველა სკამი გამოიცვლება, ზედა იარუსები კი მატჩის შემდეგ აიყრება.


ტრიბუნების ხარჯზე მოედნის ფარ-თობიც გაიზრდება: ფარების უკან ორრიგიანი ე.წ. ქანდარა მოიხსნა, ხოლო სამთავრობო და პრესის ლოჟებს სკამების თითო რიგი მოაკლდა.

ასე და ამგვარად, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპორტის სა-სახლე ნაკრების მატჩების სამასპინძლოდ მზადაა. ახლა ისაა საკითხავი, თავად ნაკრები თუ არის მზად, ახალ დარბაზში ახალი სიმაღლეების დასაპყრობად.

ალექსანდრე პოტორბშვილის **പ്രസൂന്ദ**









WYCUSEULH UZCOSENYC JUZCEUPYCFO JManajan Gyzamangajem

okusedan a recommend

ansem

75030%60020

arems

განგარკში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადაში გუშინ ძიუდოისტებიც ჩაებნენ - ვაჟთა 100 და +100 წონითი კატეგორიების ნარმომადგენლებმა იჭიდავეს. სამწუხაროდ, ჩვენებურებმა მედლებით ვერ გაგვახარეს – **ადამ ოქ- რუაშვილი** (+100) მეხუთე ადგილზე დარჩა, **ლევან რაზმაძე** (100) უფრო ადრე გავარდა.

ამ ტურნირზე ოქრუაშვილის გამოსვლა დიდ ინტერესს ინვევდა – იგი აბსოლუტურ წონაში მსოფლიო ჩემპიონატზე ნასვლის ერთ-ერთი კანდიდატია და ბევრი რამ ტაილანდში გამოსვლაზეც იყო დამოკიდებული. მისი ჭი-დაობა ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელსაც ფრიად აინტერესებდა, თუმ-ცა გადაწყვეტილების მიღებას იგი კვლავ არ ჩქარობს – ამ გუნდის სამშობლოში დაბრუნებას ელოდება. ამის შემ-დეგ მწვრთნელთა საბჭო ვითარებას გააანალიზებს და მსოფლიოზე წასაყ-ვანი გუნდის საბოლოო შემადგენლობასაც მერე დაასახელებს.

ოქრუაშვილმა პირველ შეხვედრაში ჩვენთვის კარგად ნაცნობი იაპონელი შინია კატაბუჩი სულ რაღაც 2 წუთში დააიპონა. შეგახსენებთ, რომ ამ ქარივით სწრაფმა და მოძრავმა იაპონელმა წლეულს თბილისის ტურნირზე ლაშა გუჯეჯიანი დაგვიმარცხა და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ოქრუაშვილმა მართლაც იყოჩაღა. სამ-წუხაროდ, მეოთხედფინალში რუს დმიტრი სტერხოვთან ვერაფერი გააწყო და საკმაოდ დიდი სხვაობით დამარცხდა. მოგვიანებით რუსი ფინალში გავიდა და ოქრუაშვილიც სანუგეშოში გადაერთო, სადაც ასევე ორი შეხვედრა ჩაატარა. პირველში ფრანგი **ფრედერიკ ლეკანიუ** პირდაპირ გაანადგურა – 2 იუკოც აართვა, ვაზარზეც დააგდო, ბოლოს კი მისი ტანჯვა სუფთა გდებით დაასრულა. სამწუხაროდ, ჩვენებურმა მეტი ვერ შეძლო – ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ირანელ საედ ხოსრავინე-ჯადთან წმინდად დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა.

რაზმაძემ პირველი შეხვედრა ფრანგ **ტიერი ფაბრისთან** დათმო და სანუგეშოს იმედად დარჩა. ბედად, იქ გადართვის საშუალება მიეცა, მაგრამ ამით დიდად მაინც ვერ იხეირა – ყაზახ ახრამჯან მარაზიკოვთან გაფრთხილებით მოგებას მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, ლიტველ ეგიდიუს ზი-ლინსკასთან მარცხი მიაყოლა და საბოლოოდ გავარდა

დღეს უნივერსიადაში 81 და 90 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფა-ლავნები ჩაებმებიან. ჩვენებურთაგან გრიგოლ შინჯიკაშვილი (81) და იოსებ მსხალაძე (90) იჭიდავებენ.

COMCONE NACENCOC

6 ᲛᲔᲓᲐᲚᲘ **Მ**ᲡᲝᲤᲚᲘᲝ **ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐ&ᲘᲡ ᲬᲘᲜ**

ბულ იონ კორნიანუს მემორიალში დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები, რომელმაც თითო ოქრო-ბრინჯაოსა და 4 ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩემპიონი ბადრი ხასაია (84) გახდა, მამუკა ხოზრევანიძე (55), დავით ბედინაძე (60), მანუჩარ კვირკველია (74) და რევაზ ჭელიძე (მძიმე) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაო კი ლაშა ლომაძემ (66) მოიპოვა.

